# სარბიელი

სპორტული გაზეთი ხუთშაბათი 27 თებერვალი 2003 №33 (1804) ფასი 50 თეთრი



REUTERS

ფრანჩესკო ტოტი „რომას“ დუბლით და იმედით დაუბრუნდა

UEFA CHAMPIONS LEAGUE

# რომა აიტორტა

## ბარსელონა აიაქსს წილში ჩაუჯდა

დუეტი ტრიოდ ვერ იქცა — ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში გუშინწინ გასულ „მილანსა“ და „მანჩესტერ იუნაიტედს“ გუშინ ვერავინ შეუერთდა. დავაზუსტოთ: ამის შანსი მხოლოდ „ბარსელონას“ ჰქონდა და ორი გზით შეეძლო მოეხერხებინა — ან თავად უნდა მოეგო, ან „ნიუკასლი“ უნდა დამარცხებულიყო. არც ერთი მოხდა და არც მეორე.

თუმცა „ბარსელონა“ კვლავაც რჩება ჯგუფის ლიდერად და მომდევნო ეტაპზე გასვლის უპირველეს კანდიდატად, საევროთასო რეკორდს კი ალარაფერი ეშველება — კატალონიელებმა მიჯრით მეთორმეტე თამაში ვერ მოიგეს და ოდენ რეკორდის თანამფლობელებად დარჩნენ ამსტერდამის „აიაქსთან“ ერთად.

მაგრამ „ბარსელონა“ კვლავაც მიიწევს სხვა რეკორდისკენ — მას, წინა სეზონიდან მოყოლებული, ჩემპიონთა ლიგაში 13 წაუგებელი მატჩი დაუგროვდა, რეკორდი კი ოცია და ეს რეკორდიც „აიაქსს“ ეკუთვნის.

„აიაქსი“ თავისი ჯგუფის ლიდერადაც რჩება „არსენალთან“ მეორე ფრის მერე. მაგრამ ამსტერდამელთა პირველობა მყიფეა და შეიძლება საბოლოოდ სულაც ჯგუფში ჩარჩნენ. მით უფრო, რომ „რომა“ გაცოცხლდა — პირველ წრეში უქულოდ დარჩენილ რომაელებს ვალენსიაში მოგებით არცთუ უმნიშვნელო შანსი გაუჩნდათ, ქომაგი კი სულ უფრო და უფრო რწმუნდება, რომ ფრანჩესკო ტოტი მთელი თუ არა, ნახევარი გუნდია.

და რომ არა ალან შირერი, გუშინდელი სალიგო დღის უდავო გმირი „რომას“ კაპიტანი იქნებოდა. „ნიუკასლის“ კაპიტანმა და ტოტისებრ სიმბოლომ „ლევერკუზენს“ ჰეთ თრიქი შეუსრულა.



REUTERS

ალან შირერმა ჩემპიონთა ლიგაშიც იშირერა

# ჩემპიონთა ლიგა 2002-2003
## II ჯგუფური ეტაპი. IV ტური

### A ჯგუფი

**ინტერი 0:0 ბარსელონა**

ინტერი: ტოლდო, ხ. ძანეტი, ფ. კანავარო, გამარა, პასკუალე, გული (ხ. კონსეისაო 78), დალმა (მარტინსი 61), კ. ძანეტი, მორფეო, კალონი (დი ბიაჯო 34), ვიერი
მწვრთნელი: ექტორ რაულ კუპერი
ბარსელონა: ბონანო, გაბრი, პუიოლი (პ. ანდერსონი 79), ფ. დე ბური, რაიციგერი, როჩემბაკი (რიკელმე 68), ხავი, კოკუ (მენდიეტა 59), მოტა, სავიოლა, კლუივერტი
მწვრთნელი: რადომირ ანტიჩი
გაფრთხილება: მორფეო, პუიოლი, კოკუ, კანავარო, გაბრი
მსაჯი: ურს მაიერი (შვეიცარია)
71 740 მაყურებელი

**ნიუკასლი 3:1 ლევერკუზენი**

1:0, 2:0, 3:0 შირერი (5, 11, 36პ), 3:1 ბაბიჩი (73)
*ნოივილმა ვერ გაიტანა პენალტი (20, მეკარე)*
ნიუკასლი: გივენი, გრიფინი, ბრამბლი, კოლდუელი, ბერნარი, კერი (ვიანა 81), დაიერი (სოლანო 69), სპიდი, რობერი, შირერი (ლუა ლუა 81), ამეობი
მწვრთნელი: ბობი რობსონი
ლევერკუზენი: ჰ. ბუტი, პროისი, კლეინი, კრისი (ჟივკოვიჩი 29), პლასენტე, რამელო (ბაბიჩი 46), კალუჟნი, ნოივილი (ბრდარიჩი 61), ბაშთურქი, შიმაკი, ფრანცა
მწვრთნელი: ჰორსტ ფიორსტერი
გაფრთხილება: ბრდარიჩი
მსაჯი: კლაუს ბო ლარსენი (დანია)
40 508 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბარსელონა | 4 | 3 | 1 | 0 | 8:2 | 10 |
| ინტერი | 4 | 2 | 1 | 1 | 7:6 | 7 |
| ნიუკასლი | 4 | 2 | 0 | 2 | 8:9 | 6 |
| ლევერკუზენი | 4 | 0 | 0 | 4 | 5:11 | 0 |

### B ჯგუფი

**ვალენსია 0:3 რომა**

0:1, 0:2 ტოტი (25, 30), 0:3 ემერსონი (36)
ვალენსია: კანისარესი, რეველიე, აიალა, პელეგრინო (ა. კარბონი 77), ფ. აურელიო, რუფეტე (აიმარი 65), ალბელდა, ბარახა, ვისენტე (კილი გონსალესი 52), ხუან სანჩესი, კარეუ
მწვრთნელი: რაფაელ ბენიტესი
რომა: ანტონიოლი, სამუელი, ალდაირი, ძებინა (კუფრე 63), კანდელა, კაფუ, ემერსონი, ტომაზი, ლიმა, ტოტი (ფუზერი 88), კასანო
მწვრთნელი: ფაბიო კაპელო
გაფრთხილება: რუფეტე, ძებინა, სამუელი
მსაჯი: ფრანკ დე ბლეეკერი (ბელგია)
45 000 მაყურებელი

**აიაქსი 0:0 არსენალი**

აიაქსი: ლობონტი, ტრაბელსი, კიეუ, გალაშეკი (იაკუბუ 71), ვიჩგე, პასანენი, დე იონგი, პიენაარი (უესლი 90), მაქსველი, ვან დერ მეიდე, იბრაჰიმოვიჩი (მიდო 84)
მწვრთნელი: რონალდ კუმანი
არსენალი: სიმენი, ლორენი, ს. კემპბელი, კიოუნი, ე. კოული, ვილტორდი (ჯეფერსი 79), ჟილბერტო სილვა, ვიეირა, პირესი (ვან ბრონკჰორსტი 87), ანრი, ბერხკამპი (პარლოუ 79)
მწვრთნელი: არსენ ვენგერი
გაფრთხილება: კოული, ვიეირა
მსაჯი: ვალენტინ ივანოვი (რუსეთი)
51 500 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| აიაქსი | 4 | 1 | 3 | 0 | 4:3 | 6 |
| არსენალი | 4 | 1 | 3 | 0 | 4:2 | 6 |
| ვალენსია | 4 | 1 | 2 | 1 | 2:4 | 5 |
| რომა | 4 | 1 | 0 | 3 | 5:6 | 3 |



REUTERS მილანიდან

ინტერი — ბარსელონა. სტუმართა ბრაზილიელი ფაბიო როჩემბაკი კარლოს გამარამ დააღრიალა



REUTERS ნიუკასლიდან

ნიუკასლი — ლევერკუზენი. ალან შირერს გერმანელთა კარში გოლი-გოლზე გაჰქონდა



REUTERS ამსტერდამიდან

აიაქსი — არსენალი. ლონდონელთა ჰოლანდიელ დენის ბერხკამპს თავისტომები გასაქანს არ აძლევდნენ



REUTERS ვალენსიიდან

ვალენსია — რომა. იონ კარეუმ (მარჯვნივ) და მისმა თანაგუნდელებმა ემერსონი და „რომა“ ვერ გააჩერეს

### ინგლისი

**პირველი დივიზიონი**
**გადადებული მატჩი**

სტოკი 1:0 უოლსოლი

**ასოციაციის თასი**
**1/8 ფინალი. გადათამაშება**

ბარნლი 3:0 ფულემი

### ჰოლანდია

**პირველი დივიზიონი**
**XXII ტური**

უტრეხტი 2:2 ჰერენვენი

**მეორე დივიზიონი**
**XXII ტური**

სიტარდი 0:0 მაასტრიხტი

### პორტუგალია

**თასის V ეტაპი**

*სეტუბალი* 6:1 შოანე

**1/8 ფინალი**

*პარზიმი* 2:0დ.დ. (0:0) ფელგეირაში

### შოტლანდია

**მესამე დივიზიონი**
**გადადებული მატჩები**

ისტ სტირლინგი 1:2 ბრეჩნა

სტირლინგი 3:4 ალბიონი

### საბერძნეთი

**თასის 1/4 ფინალი. I მატჩი**

პაოკ 3:1 ოლიმპიაკოსი

კალათბურთი

## ევროლიგა

**მეორე ჯგუფური ეტაპი. I ტური. 26 თებერვალი**

**D ჯგუფი**

უნიკახა 76:95 ცსკა

ეფესი 68:62 ციბონა

**E ჯგუფი**

პანათინაიკოსი 81:67 სკიპერი

**F ჯგუფი**

ბენეტონი 81:68 ტაუ

ჩემპიონთა ლიგა. მეორე ჯგუფური ეტაპი. IV ტური. C ჯგუფი

# უკანასკნელი იმედის შეცვლა

**დორტმუნდი 1:1 რეალი**

**1:0 კოლერი (22), 1:1 პორტილიო (90)**
**დორტმუნდი: ლემანი, ევანილსონი (რიკენი 80), ვიორნსი, მეცელდერი, მადუნი, დედე (ამოროზო 90), ფრინგსი, როიტერი, კელი, კოლერი, ევერტონი (რეინა 88)**
**მწვრთნელი: მათიას ზამერი**
**რეალი: კასილიასი, სალგადო, პავონი (პორტილიო 90), ელგერა, რობერტო კარლოსი, ფიგუ (მინამბრესი 71), კონსეისაო (გუტი 67), მაკელელე, ზიდანი, რაული, რონალდო**
**მწვრთნელი: ვისენტე დელ ბოსკე**
**გაფრთხილება: როიტერი, ევანილსონი, ვიორნსი**
**მსაჯი: გრემ პოლი (ინგლისი)**
**68 600 მაყურებელი**

**„რეალი“** სალიგო ბრძოლას განაგრძობს — „ვესტფალენშტადიონზე“ გამართული მატჩის მთავარი შედეგი ეს არის, თავად შეხვედრაზე კი შეგვიძლია ვთქვათ: აი, თამაში! ისეთი ბრძოლა წავიდა, ყინვა ვილას ახსოვდა.

თამაში პირველივე წუთიდან უსწრაფეს ტემპში დაიწყო, შეტევას შეტევა მოსდევდა, პირველი მართლაც სახიფათო მომენტი კი „რეალმა“ შექმნა მე-8 წუთზე რაულს მართებდა ლიგაში თავისი საიუბილეო, მე-40 გოლის გატანა: რონალდომ გონივრული პასით გაიყვანა ესპანელი ბომბარდირი მეკარესთან პირისპირ, მაგრამ იენს ლემანმა „დორტმუნდის“ გადარჩენა შეძლო. საერთოდ კი, თუ გახსოვთ, ერთი კვირით ადრე, „სანტიაგო ბერნაბეუზე“, ლემანმა სუსტად ითამაშა, ამჯერად კი საუკეთესო იყო.

ნელ-ნელა მასპინძლებიც გაუშინაურდნენ მეტოქის საჯარიმოს და თუმცა რეალელი მცველები უხეშ შეცდომებს არ უშვებდნენ, იერიშების მოგერიება გვარიანად უჭირდათ. ევერტონმა და იან კოლერმა ოფლი მოადინეს იკერ კასილიასს და მალევე ახმახმა ჩეხმა გატეხა კიდეც. ბუნდესნაკრების მცველმა სებასტიან კელმა ბურთით იჟონგლიორა, საჯარიმოს ცენტრში შეიჭრა და ბურთი კოლერს გადაუგდო. ამანაც ახლოდან აუღებელი დაურტყა კასილიასს. აღვნიშნოთ, რომ ამ გუნდთა პირველი წრის შეხვედრაშიც კოლერმა გაუტანა „რეალს“, უფრო საინტერესო კი ის ფაქტია, რომ აგერ ზედიზედ მეექვსე თამაშია, მადრიდელები პირველ გოლს უშვებენ.

კოლერის გოლიდან პირველი ტაიმის ბოლომდე „რეალმა“ ღირებული მომენტები ველარ შექმნა. დორტმუნდელებმა საიმედო ზღუდე აგეს ლემანის კარის წინ, ხოლო სადმე ღრიჭო თუ მაინც გამოერეოდა, სტუმრები ვერ ამჩნევდნენ. ლუიშ ფიგუ საერთოდ ამოვარდნილი იყო თამაშიდან, მოედანზე გინდ ყოფილიყო, გინდ არა.

მეორე ტაიმი ბრწყინვალე გამოდგა. ამდენი საგოლე მომენტი ბარე ორ-სამ თამაშს ეყოფოდა. რონალდომ სამჯერ ვერაგულად დაარტყა კარში, მაგრამ ბურთს სამჯერვე ლემანი გადაეფარა. მონდომება არც მეორე ბრაზილიელს, რობერტო კარლოსს დაუკლია და მის ყუმბარა-საჯარიმოსაც ლემანი დაუხვდა. არანაკლები მასპინძელთა იერიშები იყო, თუნდაც იმ მომენტის გახსენება რად ღირს, ევერტონმა ცარიელ კარს რომ ააცილა. თუმც მატჩი რაც უფრო უახლოვდებოდა დასასრულს, „დორტმუნდი“ მით უფრო ხშირად მაგრდებოდა მთელი გუნდით საკუთარ კართან. შესაბამისად ძლიერდებოდა „რეალის“ მიწოლაც, მაგრამ გოლი კი არა და არ ჩანდა.

ვისენტე დელ ბოსკემ ბრძოლაში სათადარიგოები ჩააბა. ჯერ იყო და, ფლავიო კონსეისაო გუტით შეცვალა — ახლა უკვე „რეალი“ სამი ფორვარდით თამაშობდა. გუტიმ თამაში გაამწვავა, მაგრამ კვლავაც უშედეგოდ. მერე მწვრთნელმა ფიგუს ნაცვლად ყმაწვილი ოსკარ მინამბრესი შეუშვა. ფიგუ, ზემოთაც ვთქვით, არაფრის მაქნისი იყო, მაგრამ მინამბრესიც პორტუგალიელზე უკეთ არ გარჯილა.

90-ე წუთზე კი დელ ბოსკემ უკანასკნელი იმედის შეცვლა გააკეთა — ცენტრალური მცველი ფრანსისკო პავონი მეოთხე თავდამსხმელით, ხავიერ პორტილიოთი შეცვალა.

90 წუთი გავიდა, მსაჯმა ოთხიც დაამატა. ამ ოთხიდან ნახევარიც გავიდა. აქ კი ზინედინ ზიდანმა კარგა ბლომად მანძილი უმეთვალყურეოდ გაირბინა და რბილად ჩააწოდა „დორტმუნდის“ საჯარიმოს ცენტრში, დაახლოებით თერთმეტმეტრიან ნიშნულთან. ბურთი პორტილიოს მიუვიდა, მარჯვენა ფეხით, შეუჩერებლად დაარტყა მარცხენა დაბალ კუთხეში, მცველებმა ბურთისთვის ფეხის დახვედრება ვერ შეძლეს და ლემანმაც ეს დუელი წააგო.

„ვესტფალენშტადიონი“ გაოგნდა, მათიას ზამერმა რამე დასამტვრევი საგანს დაუწყო ძებნა, გერმანელი ფეხბურთელები მოედანზე ეყარნენ. „რეალი“ კი ზეიმობდა.

„ის გოლი [illegible]“ — თქვა [illegible]



REUTERS დორტმუნდიდან

იენს ლემანმა რაულს საიუბილეო გოლი არ გაატანინა

# წმინდა იტალიური მკვლელობა

**ლოკომოტივი 0:1 მილანი**

**0:1 რივალდო (34З)**
**ლოკომოტივი: ოვჩინიკოვი, ნიჟეგოროდოვი, იგნაშევიჩი, ევსეევი, სენიკოვი, სირხაევი (პიმენოვი 58), იზმაილოვი, მამინოვი, ლოსკოვი, მნგუნი, ჟულიო სეზარი (პარკსი 82)**
**მწვრთნელი: იური სიომინი**
**მილანი: დიდა, კოსტაკურტა, ნესტა, მალდინი, კალაძე, გატუზო, რედონდო (ბროკი 76), ზეედორფი, სერჟინიო (რუი კოშტა 86), რივალდო, ინძაგი (ტომასონი 84)**
**მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი**
**გაფრთხილება: გატუზო, ევსეევი, ლოსკოვი, სერჟინიო, ნიჟეგოროდოვი**
**მსაჯი: კიროს ვასარასი (საბერძნეთი)**
**30 000 მაყურებელი**

**ვადიმ ევსეევს** რომ ჰკითხოთ, ფილიპო ინძაგის ხელით არ იჭერდა, იტალიელმა სცენა გაითამაშა და ბერძენმა არბიტრმაც მოგონილი პენალტი დადო. რატომ? იმიტომ, რომ ბოროტ ევროპელებს რუსები არ უყვართ, იციან, რომ რუსები ძლიერები არიან და მუდამ მათ დაჩაგვრას ცდილობენ. სხვათა შორის, მეორე ტაიმში იგნაშევიჩმა აშკარად წააქცია იგივე ინძაგი, მაგრამ მსაჯმა სასტვენი დაადუმა, რა, შესვენების შემდეგ რუსთა სიყვარული მიეძალა? „მილანმა“ კი, წინა სამი მატჩის მსგავსად, ახლაც წმინდა იტალიურ სტილში მოკლა მეტოქე — ერთი გოლი გაიტანა და იკმარა: 1:0 ისევეა სამი ქულის მომტანი, როგორც, ვთქვათ, 4:0, ქულები კი მთავარია.

არადა, „მილანმა“ სულაც არ დატოვა უძლეველი გუნდის შთაბეჭდილება, როგორც შემოდგომაზე ტოვებდა, მაგრამ მისი ასეთი თამაში „ლოკომოტივს“ ეყო. რუსებს ფაქტობრივად, ერთადერთი მართლაც სახიფათო მომენტი ჰქონდათ, როცა მეორე ტაიმში ჟულიო სეზარმა სამი სტუმარი ჩამოიცილა, დმიტრი ლოსკოვს დაუგორა, ამან კი ურალის მთებს იქით დაარტყა. ერთი სიტყვით, ულიმღამო, მწვავე ეპიზოდებით მწირი თამაში გამოდგა.

პირველი მატჩის შემდეგ კარლო ანჩელოტიმ და იური სიომინმა რაღაცეები შეცვალეს. იტალიელმა ფლანგები გააძლიერა, სასტარტო შემადგენლობაში კლარენს ზეედორფი და სერჟინიო ათამაშა. რუსმა ზეედორფზე სირხაევი და ნიჟეგოროდოვი დაგეშა, რივალდოს მეურვეობა კი „მადრიდის გმირს“, მილანში უთამაშებელ მნგუნის მიანდო. თუმც მნგუნიმ ბრაზილიელის მეურვედ ვერ ივარგა.

თავიდან უკეთ თითქოს მასპინძლები გამოიყურებოდნენ, მაგრამ ბურთის მეტხანს ფლობა თვალსაჩინო უპირატესობად ვერ აქციეს. გრძელი ჩაკიდებებით ცდილობდნენ ბურთის მილანელ მცველთა ზურგს უკან გადაგდებას, მაგრამ მალდინიმ და კომპანიამ ამგვარ ტაქტიკას ადვილად აუღო, ბურთი დიდამდე ფაქტობრივად არც მიდიოდა.

ოციოდე წუთის გასვლის მერე სერინიოს ჩაწოდებული ზეედორფმა კარისკენ გაისროლა, რაც „მილანის“ გააქტიურების სიგნალი გამოდგა. მალე რივალდოს საჯარიმო დარტყმა გაუცუდდა, მაგრამ კიდევ ცოტაც და „ლოკომოტივის“ კარში ის პენალტი დაინიშნა, თავში რომ მოგახსენეთ. მატჩის ბედიც რივალდოს ზუსტად შესრულებულმა ამ დარტყმამ გადაწყვიტა.

მეორე ტაიმი რუსებმა პირველზე გაცილებით აგრესიულად დაიწყეს. აშკარად მონდომებულები იყვნენ, დიდასთვის მშრალი სერია შეეწყვიტათ. მაგრამ როგორც მილანურ მატჩში და ამ შეხვედრის პირველ ტაიმში, შესვენების მერეც არაფერი გამოუვიდათ.

კარლო ანჩელოტი: „შედეგით, ცხადია, კმაყოფილი ვარ. უკეთესი რა უნდა იყოს — დარჩენილ ორ შეხვედრაში სანერვიულო აღარაფერი დაგვრჩა. თამაშის ხარისხიც მომეწონა, თუმც მეორე ტაიმში მეტოქე უკეთ გამოიყურებოდა. ფეხბურთელთაგან კი არავის გამოვარჩევ, ყველამ კარგად ითამაშა, განსაკუთრებით, მცველებმა“.

იური სიომინმა კი პრესკონფერენციის თავისი ნაწილი პენალტის გარჩევას მოანდომა და მაგალითები მოიყვანა, როცა საჯარიმოში ჯაჯგურისას მსაჯები პენალტს არ ნიშნავენ. საბოლოოდ ის გამოუვიდა, წესი დაირღვა, მაგრამ მსაჯს შეეძლო არ დაენახა.

„ლოკომოტივს“ ჯგუფიდან გასვლის შანსი არ დაუკარგავს, მაგრამ ამისთვის „რეალსაც“ უნდა მოუგოს და „დორტმუნდსაც“, რომლებსაც უმოტივაციო „მილანიც“ დაამარცხებს. მოგვიტევეთ და, ამის არ გვჯერა.

**გიორგი დარჯანია**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მილანი | 4 | 4 | 0 | 0 | 4:0 | 12 |
| რეალი | 4 | 1 | 2 | 1 | 5:5 | 5 |
| დორტმუნდი | 4 | 1 | 1 | 2 | 4:5 | 4 |
| ლოკომოტივი | 4 | 0 | 1 | 3 | 3:6 | 1 |

*„მილანი“ გავიდა მერვედფინალში*



REUTERS მოსკოვიდან

ფერნანდო რედონდომ და ვლადიმირ მამინოვმა განდაგანა წაიცეკვეს



REUTERS

ჯანლუიჯი ბუფონმა ოლე გუნარ სოლსკიაერს კი აუღო, მაგრამ რად გინდა...

# თქვენ შეგეყარათ გრიპი?
## მაშინ გაუგებთ ლიპის

**იუვენტუსი 0:3 მანჩესტერი**

**0:1, 0:2 გიგზი (15, 41), 0:3 ვან ნისტელროი (63)**
**იუვენტუსი: ბუფონი, ტურამი, ფერარა, მონტერო, ძამბროტა (პესოტო 67), დავიდსი, კონტე (ტუდორი 46), კამორანეზი, ნედვედი, ტრეზეგე, დი ვაიო (სალასი 46)**
**მწვრთნელი: მარჩელო ლიპი**
**მანჩესტერი: ბარტეზი, გ. ნევილი, ფერდინანდი, ფ. ნევილი, ოში (პაფი 60), ბექემი, კინი, ვერონი, ბათი, სოლსკიაერი, ფორლანი (გიგზი & ვან ნისტელროი 49)**
**მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი**
**გაფრთხილება: ფ. ნევილი, ნედვედი**
**მსაჯი: მარკუს მერკი (გერმანია)**
**59 111 მაყურებელი**

„არ მინდა თავის გამართლებად ჩამომართვათ, მაგრამ ამ საღამოს, ბოლო 15 დღის განმავლობაში მომხდარი ამბების შედეგი მოვიმკეთ" — განაცხადა მატჩის შემდგომ პრესკონფერენციაზე „მანჩესტერ იუნაიტედთან" შინ 0:3 დამარცხებული „იუვენტუსის" მწვრთნელმა, მარჩელო ლიპიმ — ყველაფერი ჩვენს ფიზიკურ მდგომარეობაზე აისახა. ერთი კვირის წინ, მანჩესტერში, კარგად ვითამაშეთ, კარგად ვითამაშეთ „კოძოსთანაც", მაგრამ ამ ორ თამაშში თავისთვის ძალის დატანებას სადმე უნდა მოექნია კუდი".

ალბათ, გასაგებია რაც იგულისხმება — გრიპი. წაგება წაგებაა, თუმცა ვფიქრობთ, საქართველოშიც კი, ამ მატჩის შედეგს ხალხი „იუნაიტედის" და „იუვენტუსის" ქომაგობის მიხედვით კი არა, იმის მიხედვით მიუდგება, შეხვდა თუ არა თავად ეს საძაგელი ვირუსი. ვისაც შეხვდა, ლიპის გაუგებს, თუნდაც ინგლისური გუნდის მიმართ ჰქონდეს მეტი სიმპათია, ვისაც არა, იტყვის, რომ „ბებერი ქალბატონის" თავკაცი თავს იმართლებს.

„ვინაიდან ჯანზე არ ვიყავით, შეხვედრის განმავლობაში მომხდარი ნებისმიერი, თუნდაც უმნიშვნელო ამბავი, ჩვენს წინააღმდეგ მოქმედებდა. ძელსაც გავარტყით ბურთი, პირველ გოლზე ჯანლუკა ძამბროტას ჩაეძინა, მეორეზე ნახევარდაცვაში დავუშვით უხეში შეცდომა, ამის შემდეგ კი იგორ ტუდორმა მესამე გაატანინა" — დასძინა მწვრთნელმა.

მართლაც „იუვენტუსი" უხეში შეცდომებისთვის დაისაჯა. სამივე გოლი მის კარში მოდუნების, უყურადღებობის თუ უბრალოდ უხეში შეცდომის, გაუმართლებელი მოქმედების გამო გავიდა. მაგალითად, მესამე გოლი რატომ შევარდა მასპინძელთა კარში საერთოდ გაუგებარია. ტუდორს ბურთი, რატომღაც თავისი კარის ძელისთვის რომ არ გაერტყა და იქიდან ასხლეტილი რუუდ ვან ნისტელროის არ მისვლოდა, იქ საერთოდ არაფერი მოხდებოდა. უფრო სწორედ, არაფერი ხდებოდა. პირველი და მეორე კი რაიან გიგზმა შეაგდო.

„თუ დამნაშავის ძებნას დავიწყებთ, ალბათ ყველაზე მეტად მე უნდა ვიკისრო პასუხისმგებლობა, რადგან რამდენიმე ბოლომდე მოუმზადებელი მოთამაშე მოედანზე გავუშვი. მგონი ვიჩქარე — განაგრძო შემდეგ ლიპიმ, თუმცა ისიც დასძინა, რომ „იუნაიტედის" ძლიერებაში ეჭვი არ ეპარებოდა — მათ მსოფლიო კლასის გუნდი ჰყავთ და შეუძლიათ ნებისმიერი მდგომარეობიდან ნებისმიერი პრობლემა შეგიქმნან. „იუნაიტედი" საოცრად ოსტატურ ფეხბურთს თამაშობს. მის დასამარცხებლად ძალიან ბევრი უნდა გაილო, ამისთვის კი მზად არ ვიყავით. ყურადღება კი მოვიკრიბეთ, მაგრამ ეს საკმარისი არ აღმოჩნდა და პლუს, ყველაფერი ჩვენს საწინააღმდეგოდ წარიმართა".

ბოლოს კი მარჩელო ლიპიმ თქვა, რომ თავს შეჯიბრებიდან გამოთიშულად არ თვლის, რადგან მეორე ჯგუფური ეტაპის დასრულებამდე ორი ტური რჩება. ერთადერთი, რაც ლიპის სურს, საშაბათის ნაირი ხელმოცარვის და უიღბლობის წარსულისთვის ჩაბარებაა.

„მანჩესტერ იუნაიტედის" თავკაცმა, ალექს ფერგიუსონმა კი ასე ბრძანა: „ჩვენ ფანტასტიკურად ვითამაშეთ, მიუხედავად იმისა, რომ ტრავმების გამო შემადგენლობაში ერთი-ორი ცვლილება მომიხდა. თანაც, კვირას ინგლისის ლიგის თასის ფინალი [illegible] დროს, ბუნებრივია, რისკავ და იღბალი გჭირდება. თამაშის პირველმა ნახევარმა გვიჩვენა, რომ იღბალი სწორედ ჩვენს მხარეს იყო. კონტრშეტევების დროს მასპინძლებისთვის ძალიან საზიფათონი ვხდებოდით. სასაცილო ამბავია, დღეს მოედანზე გიგზის გაყვანას სულ არ ვაპირებდი. ფორლანი რომ არ დაშავებულიყო იგი არც ითამაშებდა. ერთი სიტყვით, იძულებული გავხდი, გიგზი მეთამაშებინა. მან კი საუცხოო ფეხბურთი გვიჩვენა, ორი გოლი შეაგდო და მატჩი მოიგო".

შემდეგ, ინგლისური გუნდის შოტლანდიელმა მწვრთნელმა როი კინზე ილაპარაკა. მოგეხსენებათ, ირლანდიელ ნახევარმცველს ტრავმა სერიოზულად აწუხებს და ბოლო დროს მისი კარიერის დასრულების საკითხიც კი წამოიჭრა. გამოსავალს მისი ნახევარმცველობიდან მცველად გადაყვანაში ეძებენ. ვარაუდობენ, რომ კინის კარიერა ასე უფრო გახანგრძლივდება.

„კინი ახალ ფუნქციას მოერგო, განსაკუთრებით მეორე ტაიმში და ვფიქრობ, ჯამში კარგად ითამაშა. ის ისეთი ფეხბურთელია, ცენტრალურ ფორვარდობასაც შეძლებს".

„იუვენტუსის" და „მანჩესტერის" ეს დაპირისპირება ბუნებრივად გვაგონებს 1999 წელს, როდესაც იგივე გუნდები ნახევარფინალში შეხვდნენ ერთმანეთს. მაშინ, მანჩესტერში „იუნაიტედმა" 1:0 მოიგო, ტურინში კი თავიდან 0:2 ჩამორჩა, მაგრამ მერე გაიტანა სამი გოლი.

„მაშინდელი დაპირისპირება სხვა იყო. ის ნახევარფინალი გახლდათ და თან, ჩვენს გუნდში ბევრნი იყვნენ ისეთი ბიჭები, ვისაც ერთი წლით ადრე, დორტმუნდის „ბორუსიასთან" ჰქონდათ ნახევარფინალი წაგებული. ის უფრო დაძაბული მატჩი გახლდათ და სწორედ დაძაბულობამ ითამაშა კარგი როლი. დღეს გაცილებით მშვიდად ვიყავით და ჩვენი ახლანდელი გამოცდილების მაშინდელთან შედარება არც შეიძლება" — თქვა ფურგიუსონმა და ალალად დასძინა, რომ მეოთხედფინალში ადგილის ნაადრევად დაბევება მეტოქის ასარჩევადაა კარგი. თუ შეატყობს, რომ პირველ ადგილზე გასვლა უჯობთ, მოინდომებენ თუ არა და...

# გამარჯვება შენ და მომენტები მე

**დეპორტივო 1:0 ბაზელი**

**1:0 ტრისტანი (4)**
**დეპორტივო: ხუანმი, ექტორი, ნაიბეტი, ჟორჟე ანდრადე, რომერო, სკალონი, დუშერი, სერხიო, ფრანი (ამავისკა 60), ტრისტანი (ვალერონი 70), მაკაი (ლუკე 79)**
**მწვრთნელი: ხავიერ ირურეტა**
**ბაზელი: ცუბერბიულერი, ჰაახი, კუენოსი, ცვისიგი, ატუბა, შუგელი, ბარბერისი (ტუმი 74), ვარელა (როსი 58), ჩიპერფილდი, ჰ. იაკინი, ხიმენესი**
**მწვრთნელი: კრისტიან გროსი**
**გაფრთხილება: ვარელა**
**მსაჯი: სტეფან ბრე (საფრანგეთი)**
**21 000 მაყურებელი**

### „დეპორტივო ლა კორუნია"

ისევ მეოთხედფინალში გასვლის იმედითაა — დიეგო ტრისტანის მიერ „ბაზელთან" შეხვედრის დასაწყისში გატანილმა გოლმა ესპანელებს სამი ქულა შესძინა.

ტრისტანი, რომელმაც წინა უქმეებზე, ესპანეთის ჩემპიონატში, „ალავესის" კარში სამი გოლი გაიტანა (შეხვედრა 6:0 დასრულდა), უმარტივეს მდგომარეობაში აღმოჩნდა, რადგან მეოთხე წუთზე, ერთი შეხედვით უვნებელი ჩაწოდება შვეიცარიელთა მეკარემ, პასკალ ცუბერბიულერმა ვერ იხელთა და ბურთი კარში შესაგდებად ციმციმ ეახლა.

და მაინც, ასეთი დასაწყისის მიუხედავად, მასპინძლებს მუხლჩაუხრელად მომუშავე „ბაზელთან" თამაში არ გაიოლებია — სტუმრებმა ძალები მოიკრიბეს და გოლის შემდეგ, რამდენიმე წუთში, რამდენიმე საზიფათო შეტევას მოაბეს თავი. კერძოდ, ნახევარმცველმა კარლოს ვარელამ 20 მეტრიდან ძლიერად დაარტყა, მაგრამ ბურთი ესპანელების მეკარემ, ხუანმიმ მოიგერია, ხოლო წამების შემდეგ კრისტიან ხიმენესმა თავურით სულ ოდნავ ააცილა მიზანს. შვეიცარიელებმა კიდევ რამდენჯერმე მოახერხეს მასპინძლების დაცვის გახლეჩა, თუმცა ბოლო, საგოლე დარტყმა ვერა და ვერ შეძლეს. იყო კიდევ ერთი მომენტი: მე-20 წუთზე მცველმა მარკო ცვისიგმა ესპანელი მცველებისგან საჩუქრად თავით კარში თავისუფლად დარტყმის საშუალება მიიღო, მაგრამ ვაგლახ, ბურთს მისივე თანაგუნდელი, ჩვენს მიერ ზემოთ ნახსენები ხიმენესი გადაეღობა, რომელიც ამ დროს თავის გზას მიიკვლევდა.

„დეპორტივოს" კი, გულწრფელად რომ ვთქვათ, დაშავებული ბრაზილიელი ნახევარმცველი, მაურო სილვა აკლდა და ეტყობოდა, რომ 1:0 მაინცა და მაინც დალხენის საშუალებას არ აძლევდა.

შესვენების წინ მასპინძელთა დაწინაურების შანსი ნახევარმცველ სერხიოს ჰქონდა. მან „ბაზელის" დაცვა განაიარაღა და კარისკენ გაეშურა, მაგრამ ღონივრად დარტყმული ძელს მოუხვდა.

მეორე ტაიმში ასე იყო: ბურთს უპირატესად გალისიელები ფლობდნენ, ხოლო მწვავე მომენტები შვეიცარიელებისა იყო.

„დეპორტივო" მაშინ გამოცოცხლდა, როდესაც მოედანზე გარემარბი ხოსე ემილიო ამავისკა შევიდა. შეხვედრის დასასრულამდე 11 წუთით ადრე შეცვლაზე შესულ ალბერტ ლუკეს უეჭველი მომენტი ჰქონდა, მაგრამ მეკარეს რომ გასცდა, ბურთი ფეხებში აებლანდა.

სამი წუთის შემდეგ კინაღამ „ბაზელის" თავდამსხმელმა, ჰაკან იაკინმა გაათანაბრა ანგარიში.

მატჩის შემდეგ „დეპორტივოს" თავკაცმა, ხავიერ ირურეტამ განაცხადა:

„ეჭვი არ მეპარებოდა, რომ ტურინში „მანჩესტერ იუნაიტედი" გაიმარჯვებდა, თუმცა არ მეგონა ამას ასე იოლად თუ შეძლებდა. ერთი სიტყვით, ახლა მეოთხედფინალში გასვლაზე ფიქრი ისევ თავისუფლად შეიძლება. რაც შეეხება „ბაზელთან" მატჩს, ადრე გატანილმა გოლმა მოგვადუნა და, თან, ბოლო დღეებში ჩატარებული ბევრი შეხვედრის გამო დაღლილობამ იჩინა თავი. ჩემპიონთა ლიგაში ადვილი შეხვედრა არ არსებობს, თუმცა, როგორ იყო და რა იყო, ახლა მნიშვნელობა არ აქვს, მთავარია, რომ სამი ქულა მივიმატეთ. ორი კვირის შემდეგ, ტურინშიც უნდა მივაღწიოთ შედეგს".

„ბაზელის" მწვრთნელი კრისტიან გროსი:

„0:1 ყოველთვის სამწუხაროა, ამდენი მომენტის გაფუჭება კი სამარცხვინო. მაგრამ, წაგების მიუხედავად, მეოთხედფინალში გასვლის შანსს ვინარჩუნებთ. სამწუხაროა აგრეთვე, გოლი ჩვენი მეკარის შეცდომის გამო რომ გავუშვით, თუმცა იმავდროულად, არანაკლებ მნიშვნელოვანი შექმნილი მომენტების გამოყენება გახლავთ".



REUTERS

გაქცეულ ექტორამდე ბაზელელმა მარკო ცვისიგმა ფეხი ვერ მიაწვდინა

**ბაჩუნა ძიძია**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მანჩესტერი | 4 | 4 | 0 | 0 | 10:2 | 12 |
| იუვენტუსი | 4 | 1 | 1 | 2 | 7:7 | 4 |
| დეპორტივო | 4 | 1 | 1 | 2 | 3:5 | 4 |
| ბაზელი | 4 | 1 | 0 | 3 | 2:8 | 3 |

*„მანჩესტერი" გავიდა მეოთხედფინალში*

ეროვნული ბიბლიოთეკა



„ლივერპულს" სემი ჰიპიას ოსერში გატანილი კინკილა გოლი ან ეყოფა, ან არა

# ელპიდიუა თუ ოტელო

## ბოავიშტა ჰერტას დახრჩობას უპირებს

### უეფას თასი 2002-2003

UEFA CUP მერვედფინალი. საპასუხო მატჩები. დღეს UEFA CUP

- ბეშიქთაში (თურქეთი) — სლავია (ჩეხეთი) (0:1)
- ბოავიშტა (პორტუგალია) — ჰერტა (გერმანია) (2:3)
- აეკ (საბერძნეთი) — მალაგა (ესპანეთი) (0:0)
- ვისლა (პოლონეთი) — ლაციო (იტალია) (3:3)
- ანდერლეხტი (ბელგია) — პანათინაიკოსი (საბერძნეთი) (0:3)
- შტუტგარტი (გერმანია) — სელტიკი (შოტლანდია) (1:3)
- დენიზლისპორი (თურქეთი) — პორტუ (პორტუგალია) (1:6)
- ლივერპული (ინგლისი) — ოსერი (საფრანგეთი) (1:0)

**გერმანულ** „შტუტგარტს" ბრიტანულ გუნდებთან ბედი არ სწყალობს. შარშანწინ ამავე ტურნირის პირველ წრეში გერმანელები „ჰართსს" გადაეყარნენ, შინ ძლივს 1:0 მოიგეს, სტუმრად კი 2:3 დამარცხდნენ და მხოლოდ შოტლანდიაში გატანილი ორი გოლის წყალობით გააღწიეს მომდევნო ეტაპზე. უფრო ადრე, 1992-ში, ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე, „შტუტგარტი" „ლიდსს" შეხვდა. გერმანიაში მასპინძლებმა 3:0 იძალეს, ლიდსში 4:1 წააგეს და ისევე სტუმრად გატანილი გოლის წყალობით ლიგაშიც უნდა შემძვრალიყვნენ, მაგრამ აღმოჩნდა, რომ შტუტგარტელებს შინ მოგებულ მატჩში ზედმეტი უცხოელი ჰყოლიათ მოედანზე და უეფამაც შუალედური გადაწყვეტილება მიიღო: მესამე და სამართლიანი და, ბარსელონაში, „კამპ ნოუზე", გადათამაშება ბრძანა. იქ „ლიდსმა" 2:1 დაამარცხა მეტოქე და გერმანული გუნდი, თავისივე სისულელით, ხელმოცარული დარჩა.

1998 წელს „შტუტგარტი" უეფას თასის ფინალში გავიდა, სადაც „ჩელსისთან" დამარცხდა.

ამჟამად ფელიქს მაგათის ბიჭები საკმაოდ კარგ ფორმაში არიან და ბუნდესლიგის ბოლო ტურში მიონხენგლადბახის „ბორუსიაც" გაანადგურეს — 4:0. ცხადია, „ბორუსიასა" და „სელტიკს" შორის გვარიანი სხვაობაა. ამიტომ დღეს მასპინძლებს გლაზგოელებთან ორბურთიანი ფორის გაქარწყლება ერთობ გაუჭირდებათ. „შტუტგარტს" არ ეყოლებიან მცველები: მარსელო ბორდონი, ფერნანდო მეირა და სილვიო მაისნერი. სამაგიეროდ, მაგათს თავისი მთავარმეგოლის, კევინ კურანის იმედი აქვს.

პორტუს „ბოავიშტა" მეორე გერმანულ გუნდს, ბერლინის „ჰერტას" უმასპინძლებს. „ბოავიშტას" ბრაზილიელი ფორვარდი ელპიდიუ სილვა თავის ბერლინელ თანამემამულეებს ემუქრება: „თუ სტუმრად ორი გოლის გატანა შევძელით, რატომ ვერ მოვახერხებთ იგივეს შინ? ჩვენ სამისო ძალ-ღონე გვაქვს და შევეცდებით, სწრაფად მოვახრჩოთ მეტოქე. ვფიქრობ, საკმაოდ თვალსასეირო მატჩი იქნება, რადგან მაყურებელი მოედანზე ბევრ ბრაზილიელს იხილავს."

„ჰერტას" ბრაზილიელებმა წინა უქმეებზე ბელეფილდის „არმინიასთან" შეხვედრაში თავი ვერაფრით გამოიჩინეს — მატჩი უგოლო ფრით დასრულდა, მაგრამ მათი ჰოლანდიელი მწვრთნელი ჰუუბ სტევენსი ალექ ალვეშისა და მარსელინიოს გოლებს მაინც ელის. „ბოავიშტას" კვლავ არ ეყოლება გამთამაშებელი ერვინ სანჩესი, რომელიც ჯერჯერობით ექიმების ხელშია.

უკეთესად აქვს საქმე „ბოავიშტას" თანაქალაქელ „პორტუს". პორტუგალიის ჩემპიონატის ლიდერებმა ერთი კვირის წინ მოუღეს ბოლო თურქულ „დენიზლისპორს" და საეჭვოა, „დენიზლიმ" 1:6-ის გაბათილება შეძლოს. მით უმეტეს, რომ „პორტუ" დღეს ბრწყინვალე ფორმაშია.

კიდევ ერთი თურქული გუნდი, „ბეშიქთაში", პრაღის „სლავიას" უმასპინძლებს. მირჩა ლუჩესკუს გუშინდლამდე პრობლემები არ აწუხებდა. ყველა ფეხბურთელი ჯანმრთელად ჰყავდა და სასჯელმოხდილი ილჰან მანსიზიც სათამაშოდ ემზადებოდა, მაგრამ მანსიზი ვარჯიშზე შეუძლოდ გახდა და საავადმყოფოში გააქანეს. მას სიცხემ აუწია და თეთრხალათიანები დასტრიალებდნენ თავზე. რუმინელ მწვრთნელს იმედი აქვს, რომ ექიმები მანსიზს გამოაკეთებენ. ითამაშებს თუ არა დღეს მსოფლიოს ბრინჯაოსანი, ზედ მატჩის დაწყების წინ გადაწყდება.

რაც შეეხება „სლავიას", ბოლო ტურში მაჩანჩალა „ბოჰემიანსს" სტუმრად ვერ მოუგო, მაგრამ მიროსლავ ბარანეკი დღეს პრაღაში მიღწეული შედეგის შენარჩუნებას კბილებით აპირებს და შეიძლება, მცველთა ბრიგადას რადეკ ბეიბლიც მიამატოს.

კრაკოვში რომის პაპისგან დალოცვილი „ვისლა" „ლაციოს" ისტუმრებს. რობერტო მანჩინის საკმაოდ მძიმე მატჩი ელის, რადგან „ვისლა" შინ ბრწყინვალედ თამაშობს. რომაელებს ტრავმის გამო ღეიან სტანკოვიჩი დააკლდებათ, მასპინძლებს კი ყველა მწყობრში ჰყავთ, თან დასვენებული, რადგან პოლონეთში ჯერ ჩემპიონატი არ განახლებულა.

კლაუდიო ლოპესი: „ვიცი, რომ გაგვიჭირდება, მაგრამ ყველაფერი უნდა ვიღონოთ მოსაგებად. „ვისლა" შესანიშნავად დაბალანსებული გუნდია. პოლონელები ბურთს კარგად ფლობენ და უბრძოლველად არაფერს დაითმობენ. მათ ფორვარდებსაც შეუძლიათ, შანსები მაქსიმალურად გამოიყენონ, რაც რომშიც დაგვიმტკიცეს. უფლება არ გვაქვს, ისეთივე უხეში შეცდომები დავუშვათ, როგორც პირველ მატჩში."

„ვისლას" ნახევარმცველი და კაპიტანი კამილ კასოვსკი კი, დახეთ — რომაული მატჩის შედეგით უკმაყოფილოა: „3:3 თავისთავად ურიგო შედეგი არაა, მაგრამ იქ ჩვენ მესამე გოლი აღარ უნდა გაგვეშვა, თან მეტის გატანაც შეგვეძლო. „ლაციოს" ძლევა რომ შეგვიძლია, რომშიც ვაჩვენეთ."

ოღრო-ჩოღრო მოარულ „ლივერპულს" ოსერში მიღწეულის შენარჩუნება-განმტკიცებისთვის მოუწევს ბრძოლა. „ბირმინგემთან" დამარცხებულ მერსისაიდელებს მაღალი კლასის ფეხბურთელები კი ჰყავთ, მაგრამ ამ სეზონში იმდენად არასტაბილურად თამაშობენ, რომ მრავალუცნობიან განტოლებას დაემსგავსნენ.

წლეულს არც გი რუს „ოსერი" ბრწყინავს, თუმცა ჯიბრილ სისეს ლივერპულელი მცველებისა არ ეშინია: „ძალიან ჯანიანი ბიჭები შეუკრებია ჟერარ ულიეს, მაგრამ მათ მაინც გვერდს ავუვლით და შევეცდები, საკუთარ კართან უფრო მეტი დრო გავატარებინო."

ათენში აეკ-ს 1:0-იც ეყოფა „მალაგას" დასაჯერებად. საბერძნეთში ნებისმიერ გუნდს რომ უჭირს თამაში, არახალია. „მალაგას" ურუგვაელი ფორვარდი დარიო სილვა დააკლდება, მაგრამ მწვრთნელი ხოაკინ ლუკასი ხულიო დელი ვალდესს ყმაწვილ მეგოლე კოკეს შეუწყვილებს, რომლის გოლმაც პრიმერადივიზიონის ბოლო ტურში „სელტასთან" ქულა მოაპოვებინა. სტუმრებს ასევე არ ეყოლებათ მცველები — რობერტო რიოსი და პორტუგალიელი მანუელ ლიტუში. სამაგიეროდ, ითამაშებენ ნახევარმცველები — ფერნანდო სანსი და სანდრო.

**ვაჟა ხუციშვილი**



ბოავიშტელი ელპიდიუ სილვა (მარჯვნივ) დიდ გულზეა: „ჰერტას" ბრაზილიელები დუელში გაიწვია



ჯიბრილ სისეს (მარცხნივ) ჟერარ ულიეს ბიჭების ჯანი სასაცილოდ არ ეყო


„ჰიბერნიანის" რბევა გევინ რაემ (მარცხნივ) დაიწყო

# ნემსაძე უარით გაისტუმრეს

## შოტლანდია

### პრემიერლიგა
### გადადებული მატჩი

**დანდი 3:0 ჰიბერნიანი**

1:0 რაე (9), 2:0 მილნი (86), 3:0 მიურეი (90ს.კ.)
დანდი: სპერონი, მაკეი, უილკი, მაირი, სმიტი, ხიზანიშვილი, ნემსაძე, რაე, ნოვო (ბრედი 89), კაბალიერო (ლოველი 66), ბერჩილი (მილნი 75)
მწვრთნელი: ჯიმ დაფი
8 414 მაყურებელი

„დანდიმ" „ჰიბერნიანთან" გადადებული მატჩი გამართა და სოლიდური სხვაობითაც მოუგო. ზურაბ ხიზანიშვილმა და გიორგი ნემსაძემ 90 წუთი შეუცვლელად ითამაშეს. მასპინძლებმა თავიდანვე დაჩხვლიტეს მიმხვდურნი. კაბალიეროს უკვე მეშვიდე წუთზე შეეძლო გოლის გატანა, მაგრამ ჩინებული მომენტი ქარს გაატანა. ორიოდ წუთში რაემ მაინც იხეირა, როცა მარცხენა ფლანგიდან შეიჭრა საჯარიმოში და კოლგანს ათი მეტრიდან ზუსტად დაურტყა.

პირველ ტაიმში დანდელებს კიდევ არაერთხელ შეეძლოთ სხვაობის გაზრდა. მარკ ბერჩილიმ ორი ასპროცენტიანი საგოლე გააცუდა. ერთხელ გიორგი ნემსაძემაც ჩაუცეკვა სამ მცველს, საჯარიმოშიც შეაგელვა ბურთი, თუმც წაიქცა და დარტყმა ველარ შეძლო. ნემსაძემ ჩათვალა, რომ ფეხი დაუდეს, არბიტრსაც მიმართა, მაგრამ ალან ფრიილენდმა ქართველი უარით გაისტუმრა.

შესვენების შემდეგ „ჰიბერნიანი" გამოცოცხლდა და რამდენჯერმე დაემუქრა „დანდის" კარს, ოღონდ უშედეგოდ. შეხვედრის დასრულებას ოთხი წუთი აკლდა, როცა ნაჩო ნოვოს პასით შეცვლაზე შესულმა მილნიმ მეორედ დაალონა კოლგანი. ბოლოს კი იმავე მილნისგან შეწუხებულმა ჰიბერნიანელმა მიურეიმ მეკარეს დაუგორა ბურთი, რომელიც კარში შეგორდა.

**ვაჟა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეინჯერსი | 28 | 24 | 3 | 1 | 76:20 | 75 |
| სელტიკი | 27 | 22 | 3 | 2 | 69:17 | 69 |
| ჰართსი | 28 | 13 | 7 | 8 | 47:42 | 46 |
| კილმარნოკი | 28 | 12 | 6 | 10 | 32:39 | 42 |
| დანფერმლაინი | 28 | 12 | 3 | 13 | 44:51 | 39 |
| ჰიბერნიანი | 28 | 10 | 4 | 14 | 38:46 | 34 |
| დანდი | 27 | 8 | 8 | 11 | 33:40 | 32 |
| პარტიკ თისლი | 28 | 6 | 9 | 13 | 27:43 | 27 |
| აბერდინი | 28 | 6 | 9 | 13 | 25:42 | 27 |
| ლივინგსტონი | 27 | 7 | 5 | 15 | 35:43 | 26 |
| მოზერუელი | 27 | 6 | 6 | 15 | 33:46 | 24 |
| დანდი იუნ. | 28 | 4 | 9 | 15 | 23:53 | 21 |


ჰასან შაში: მილანში შეგხვდებით

# ესეც მეოთხე
## ინტერში თურქთა სათვისტომოა

**სავარაუდოდ**, მომავალი ზაფხული ცხელი გამოდგება, ოღონდ არ გეგონოთ, მაღალ ატმოსფერულ ტემპერატურას ვგულისხმობდეთ — სინოპტიკოსობა, აბა, რა ჩვენი საქმეა — უბრალოდ, დიდია ალბათობა იმისა, რომ ახალი ხმაურიანი ტრანსფერები შედგება, რაც უკვე ეყრება საფუძველი.

მილანის „ინტერის" ტექნიკური დირექტორი, წარსულში ცნობილი ფეხბურთელი და 1982 წლის მსოფლიოს ჩემპიონი გაბრიელე ორიალი აცხადებს, რომ ზაფხულიდან „ნერო-აძურის" მაისურას თურქი შემტევი ნახევარმცველი ჰასან შაში მოირგებს. ყურადსაღები განცხადებაა, მით უფრო, რომ შაშს „გალათასარაიში", კერძოდ, მწვრთნელ ფატიჰ თერიმთან კონფლიქტი მოუვიდა და სტამბოლის დატოვება სურს. მის შეძენას ინგლისური კლუბები — „ლივერპული" და „ტოტენჰემიც" ლამობდნენ, მაგრამ „ინტერი" უფრო მარიფათიანი აღმოჩენილა.

„ჰასან შაშთან კონტრაქტს მალე გავაფორმებთ. ყველაფერი შეთანხმებულია" — მოკლედ განუცხადა თურქეთის ტელევიზიას ორიალიმ.

შეგახსენებთ, რომ „ინტერში" ახლა ორი თურქია — ემრე ბელოზოღლუ და ოკან ბურუქი, ზაფხულიდან კი მათ ორი თანამემამულეც შეემატებათ, ზემოხსენებული შაში და ნახევარმცველი დავალა უმითი. ეს უკანასკნელი მასიმო მორატის კლუბის საკუთრებაა, მაგრამ ზაფხულამდე იტალიელებს „გალათასარაიში" ჰყავთ განათხოვრებული.

ორიალის კვალდაკვალ „ინტერის" პრეზიდენტმა მასიმო მორატიმაც ამოიდგა ენა და საჯაროდ განაცხადა, რომ მისი თვალთახედვის არეში „მანჩესტერ იუნაიტედის" გარემარბი რაიან გიგზი მოექცა, ხოლო თუ უელსელს მისი თანაგუნდელი დევიდ ბექჰემიც გამოჰყვა, მთლად ფანტასტიკური იქნებაო.

„იუნაიტედის" აზრი ამ საკითხთან დაკავშირებით ჯერჯერობით ცნობილი არ არის, მორატის კი სრულიად სერიოზულად განუზრახავს ინგლისურ კლუბთან მოლაპარაკების წამოწყება — ცდა ბედის მონახევრეაო, ნათქვამია.

თუ გახსოვთ, ერთ ხანს ასეთი ხმებიც აგორდა, ბექჰემის გადაბირება „მილანს" სურს და კლუბის მეპატრონე სილვიო ბერლუსკონი თავად ფეხბურთელს რომ ვერ მიუდგა, მის ცოლის დახმარებით ლამობს ამ საქმის გაჩარხვასო.

ის ხმებიმ ხმებად დარჩა, ახლა კი „იუნაიტედის" გასახდელში ამას წინათ მომხდარი ცნობილი ინციდენტის შემდეგ ინგლისელს კარიერის იტალიაში გაგრძელებას მეტი შემართებით უწინასწარმეტყველებენ.

**ნინო ძადაგიშვილი**

# დი კანიოს გლაზგოში უნდა



პაოლო დი კანიო, რომელმაც გუშინ განაცხადა, რომ ზაფხულში თავისუფალი აგენტის უფლებით მიატოვებს „ვესტ ჰემს", გლაზგოს „სელტიკთან" იწყებს მოლაპარაკებას. ამის უფლება მისთვის თავად ლონდონელთა უფროსობას მიუცია.

დი კანიო 1996-97 წლებში „სელტიკში" თამაშობდა, მერე „შეფილდ უენსდიში", ბოლო ოთხ წელიწადს კი „ვესტ ჰემშია".

ამ კლუბის დირექტორმა პოლ ოლდრიჯმა თქვა, რომ ყველა ფეხბურთელს, რომელსაც ზაფხულში უმთავრდება კონტრაქტი, შეუძლია მოლაპარაკებები დაიწყოს სხვა კლუბთან.

დი კანიოს აგენტმა მატეო როჯიმ კი განაცხადა: „ჩვენ „ვესტ ჰემს" სხვებთან ლაპარაკის უფლება ვთხოვეთ და მივიღეთ კიდეც. ჩვენ გვინდოდა ინგლისსგარეთა კლუბებთან ურთიერთობა და არ გვინდოდა ფიფას კანონის დარღვევა. პაოლომ ოთხი დიდებული სეზონი გაატარა ლონდონში და გლაზგოში დაბრუნებაზე ოცნებობს".

34 წლის დი კანიომ წასვლაზე ლაპარაკი მას შემდეგ ატეხა, რაც წინა შაბათს მენეჯერმა გლენ რიოდერმა იგი 49-ე წუთზე გაიყვანა მოედნიდან, ანუ შეცვლა გაუბედა. დი კანიოს აზრით, „ვესტ ჰემი" ისედაც აპირებდა მასთან გამოთხოვებას ზაფხულში და რიოდერმაც ახალ პოლიტიკას მიმართა, რაც შეცვლაში გამოიხატა.

ამგვარი დასკვნა საჭოჭმანო კი არის, მაგრამ რახან დი კანიოსთანა ბობოქარ და ამბიციურ კაცს ეკუთვნის, გასაგებია.

„სელტიკს" კი ჯერ არაფერი უთქვამს ამ საქმის თაობაზე.

**ირაკლი გამყრელიძე**

## ინგლისი

### პირველი დივიზიონი
### გადადებული მატჩები

**ჯილინგემი 1:0 ნორვიჩი**

1:0 უოლესი (75)

**ვულვერჰემპტონი 0:0 უოტფორდი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტსმუთი | 33 | 20 | 10 | 3 | 67:32 | 70 |
| ლესტერი | 33 | 20 | 8 | 5 | 56:30 | 68 |
| რედინგი | 33 | 18 | 4 | 11 | 44:31 | 58 |
| ნოტინგემი | 32 | 15 | 9 | 8 | 55:32 | 54 |
| ვულვზი | 33 | 14 | 10 | 9 | 56:36 | 52 |
| შეფილდი | 31 | 15 | 7 | 9 | 45:34 | 52 |
| ნორვიჩი | 32 | 13 | 10 | 9 | 44:31 | 49 |
| როტერჰემი | 33 | 13 | 8 | 12 | 51:46 | 47 |
| უოტფორდი | 33 | 13 | 7 | 13 | 37:49 | 46 |
| იფსვიჩი | 32 | 12 | 9 | 11 | 51:44 | 45 |
| ჯილინგემი | 32 | 12 | 9 | 11 | 41:42 | 45 |
| ბარნლი | 31 | 12 | 8 | 11 | 46:55 | 44 |
| კრ. პალასი | 31 | 10 | 13 | 8 | 43:33 | 43 |
| ქოვენთრი | 33 | 11 | 10 | 12 | 36:37 | 43 |
| მილუოლი | 33 | 12 | 7 | 14 | 39:48 | 43 |
| დერბი | 33 | 12 | 6 | 15 | 42:49 | 42 |
| უიმბლდონი | 31 | 10 | 9 | 12 | 50:54 | 39 |
| პრესტონი | 32 | 9 | 11 | 12 | 47:52 | 38 |
| ბრედფორდი | 32 | 10 | 8 | 14 | 39:52 | 38 |
| უოლსოლი | 32 | 10 | 6 | 16 | 44:50 | 36 |
| ბრაიტონი | 33 | 7 | 8 | 18 | 34:51 | 29 |
| გრიმსბი | 33 | 7 | 8 | 18 | 38:64 | 29 |
| უენსდი | 33 | 5 | 11 | 17 | 31:56 | 26 |
| სტოკი | 32 | 5 | 10 | 17 | 34:62 | 25 |

## ჰოლანდია

### პირველი დივიზიონი
### გადადებული მატჩი

**ნაიმეგენი 1:0 ტილბურგი**

1:0 აქსი (45)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პსვ | 21 | 17 | 3 | 1 | 53:10 | 54 |
| აიაქსი | 21 | 14 | 5 | 2 | 53:21 | 47 |
| ფეიენოორდი | 21 | 13 | 4 | 4 | 53:25 | 43 |
| ნაიმეგენი | 22 | 10 | 6 | 6 | 28:27 | 36 |
| როდა | 21 | 10 | 5 | 6 | 36:31 | 35 |
| ტილბურგი | 21 | 9 | 4 | 8 | 34:30 | 31 |
| უტრეხტი | 20 | 8 | 7 | 5 | 27:23 | 31 |
| ვალვაიკი | 21 | 9 | 4 | 8 | 22:26 | 31 |
| ბრედა | 21 | 7 | 9 | 5 | 26:20 | 30 |
| ჰერენვენი | 20 | 7 | 6 | 7 | 35:31 | 27 |
| ალკმაარი | 21 | 7 | 4 | 10 | 33:52 | 25 |
| ტვენტე | 21 | 5 | 8 | 8 | 24:32 | 23 |
| როზენდალი | 21 | 6 | 4 | 11 | 23:34 | 22 |
| ვიტესი | 21 | 5 | 5 | 11 | 21:26 | 20 |
| ექსელსიორი | 21 | 4 | 7 | 10 | 24:37 | 19 |
| ზვოლე | 21 | 4 | 4 | 13 | 19:42 | 16 |
| გრონინგენი | 21 | 3 | 5 | 13 | 18:35 | 14 |
| გრააფსხაპი | 20 | 3 | 4 | 13 | 19:46 | 13 |

## Copa Toyota Libertadores '2003

### ლიბერტადორესის თასი 2003

**I ჯგუფი. II ტური**

**ემელეკი (ეკვადორი) 0:4 დეპორტივო კალი (კოლუმბია)**

0:1 კ. კასტილიო (22), 0:2 ჯ. ერნანდესი (49), 0:3 კ. კასტილიო (62), 0:4 პატინო (69)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დეპორტივო კალი | 2 | 2 | 0 | 0 | 6:0 | 6 |
| ლიბერტადი | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 1 |
| ემელეკი | 2 | 0 | 1 | 1 | 2:6 | 1 |
| რივერ პლეიტი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | 0 |

**V ჯგუფი. II ტური**

**ბოლივარი (ბოლივია) 5:2 პენიაროლი (ურუგვაი)**

1:0 ბოტერო (8), 1:1 როტუნდო (17), 1:2 ბუენო (21), 2:2 ბოტერო (40), 3:2 ლ. გუტიერესი (45), 4:2 ბიზერა (79ს.კ.), 5:2 მ. სანდი (83)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გრემიო | 2 | 1 | 1 | 0 | 5:4 | 4 |
| ბოლივარი | 2 | 1 | 0 | 1 | 5:4 | 3 |
| უნამი | 2 | 1 | 0 | 1 | 4:3 | 3 |
| პენიაროლი | 2 | 0 | 1 | 1 | 4:7 | 1 |

**VI ჯგუფი. II ტური**

**ნასიონალი (ურუგვაი) 1:2 რასინგი (არგენტინა)**

0:1 რუედა (58), 1:1 პერალტა (62), 1:2 მიროსევიჩი (66)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რასინგი | 2 | 1 | 1 | 0 | 3:2 | 4 |
| უნივერსიტარიო | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| ორიენტე პეტროლერო | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 |
| ნასიონალი | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | 0 |


Zeus Company
Billjardai
ბილიარდის მაგიდები და აქსესუარები
1000-ზე მეტი დასახელების

საუკეთესო წინადადებები ახალი საბილიარდო კლუბების გახსნისას
კონსულტაციები, გარანტია, ფასდაკლება, რემონტი, რესტავრაცია
ტ. 95-57-75, ტ/ფაქსი: 95-88-46

რეკლამა სარბიელ-ში
Tel: 39 40 08, 93 16 08;
Fax: 94 33 80

# გამოლიგდით?

## გარეთ დარჩენილთა პურისჭამას გაუმარჯოს!

**ჩემპიონთა ლიგა** ხომ ლიგაა. მალე ალბათ უეფას თასსაც ჯგუფურ სისტემაზე გადაიყვანენ და ლიგას დაარქმევენ. ცნობილი G-14 ცალკე სათავისო ლიგას ქმნის და გუნდებს თავისკენ ექაჩება. ამას წინათ, რუსებს დაესიზმრათ, სსრკ-ს ჩემპიონატი საფლავიდან ამოვთხაროთ და ჩვენი ლიგა ჩამოვაყალიბოთო. მოკლედ, ახლა ვისაც არ ეზარება, სხვადასხვაგვარ ლიგებზე ოცნებობს. ოცნებას კი ჯერ არავინ მოუკლავს.

და რა იღონონ მათ, ვინც ყველანაირი ლიგის გარეთ დარჩება? გამოუვალი მდგომარეობა არ არსებობს, უნდა შექმნან „გარეთ დარჩენილთა“ ლიგა.

ამჯერად ახალი იდეა ეწვია რუმინელებს. ვინც ვერც ჩემპიონთა ლიგაში მოხვდება და ვერც უეფას თასზე, ცალკე პურმარილი გავშალოთ, დავლაგდეთ და დავლიგდეთო. ამ იდეის ხორცშესასხმელად რუმინელებმა ბუქარესტში ყრილობის მაგვარი თავშეყრა მოაწყვეს. ახალ ორგანიზაციას პირობითად FCCF დაარქვეს, რაც ჩვენებურად რომ გავშიფროთ, დაახლოებით საფეხბურთო კლუბთა თანამშრომლობის ფორუმს ნიშნავს.

ბუქარესტს აღმოსავლეთევროპული გუნდების წარმომადგენლები ეწვივნენ. „ოლიმპიაკოსმა“, „ცრვენა ზვეზდამ“, „ლევსკიმ“, ბულგარული ცსკა-მ, კვიპროსის „ნიქოზიამ“ და რუმინულმა ტრიომ — „დინამო“, „სტიაუა“, „რაპიდი“ — მოიფიქრეს, რომ დასაწყისისთვის FCCF-ის ლიგაში 9 ქვეყნის 16 გუნდი შეიყრება. აი, ეს ცხრა ქვეყანაც: რუმინეთი, ბულგარეთი, კვიპროსი, საბერძნეთი, სერბეთი და ჩერნიგორია, სლოვენია, ხორვატია, თურქეთი და უკრაინა.

„ეს ტურნირი — თქვა „რაპიდის“ გენერალურმა მდივანმა კრისტიან კოსტაჩემ — ევროთასების მიღმა დარჩენილი გუნდების პროფესიულ განვითარებას შეუწყობს ხელს“. კოსტაჩემ ისიც ბრძანა, რომ ტურნირი ფიფა-უეფასთან შეთანხმებული იქნება და მის რეგლამენტს ივნისში, FCCF-ის მორიგი შეკრებისას დაადგენენ.

თუ ასე გაგრძელდა ლიგაობა, მალე ალბათ შეიქმნება პირველ ტაიმში დამარცხებულთა, წამატებულ წუთებზე წაგებულთა ან კიდევ ყველა ლიგიდან გავარდნილთა ლიგა.

ლიგებისკენ ჰერი-ჰერი!

**ვაჟა ხუციშვილი**




მიხაელ ბალაკს სიტყვა აუწონეს

# ენის სიგრძის ჰიცფელდისეული საზომი

ოტმარ ჰიცფელდი მიხაელ ბალაკს დაემუქრა და აასრულა კიდეც. ბალაკს ალბათ უნდა სცოდნოდა „ბაიერნში“ არსებული კანონები. ეგებ იცოდა, მაგრამ ჭია ღრღნიდა თუ ენა ექავებოდა, სათქმელი მაინც თქვა: „მე ეგოისტი არ ვარ. უმთავრესი გუნდის ინტერესებია და თუ მწვრთნელი თვლის, რომ დაცვაში უფრო მეტი სარგებლის მოტანა შემიძლია, ის მართალია. მაგრამ თუ ფეხბურთელს ყიდულობ და იცი მისი სტილი, ბოლომდე უნდა გამოიყენო. ვფიქრობ, შეტევაში გაცილებით უკეთ გამომდის თამაში“.

აი, სულ ეს იყო, რაც ფეხბურთელმა ამოღერღა. ოტმარ ჰიცფელდს კი დამრიგებლები არ უყვარს, მე ვარ და ჩემი ნაბადიო, გაიძახის. მოკლედ, საჯაროდ ბჭობა მიხაელ ბალაკს კლუბის მოლარემ ოტმარ ჰიცფელდის საზომით დაუანგარიშა და 10 ათასი ევროთი დააჯარიმა.

# სირცხვილია!

## ქალზე ხელი აწიეს




2000 წლის 24 ოქტომბერი: ენტონი იებოას „ჰამბურგმა“ ანტონიო კონტეს „იუვენტუსს“ 3:1 მოუგო

**„დელე ალპიზე“** შერცხვენა შერცხვენად და „იუვენტუსმა“ ერთ ანტირეკორდსაც გამოჰკრა ხელი — მას ევროთასებზე შინ სამბურთიანი სხვაობით აქამდე არასდროს წაეგო.

ბოლოს ტურინელები „დელე ალპიზე“ 2000 წლის ოქტომბერში დამარცხდნენ, ჩემპიონთა ლიგის მატჩში გერმანულმა „ჰამბურგმა“ მიაწვინა „ბებერი ქალბატონი“ — 3:1.

სტატისტიკის მოყვარულთ ალბათ ისიც უთუოდ დაგაინტერესებთ, რომელი თამაში მოიგო „იუვენტუსმა“ დიდი ანგარიშით შინ თუ სტუმრად, მეტოქის მოედანზე ბოლოს როდის წააგო სამბურთიანი და მეტი სხვაობით...

„ბებერი ქალბატონი“ ევროპულად პირველად 1960-61 წლების სეზონში გაილახა, მანდილოსანზე ხელი ბულგარული სოფიის ცსკა-ს აუწევია უნამუსო 4:1-ით.

ესპანური „სელტა“ კი 2000 წლის ოქტომბერში ბულგარელებზე ცუდად მოიქცა, „იუვენტუსს“ არც მეტი, არც ნაკლები 4:0 გადაურბინა. ის მატჩი უეფას თასის მერვედფინალური შეხვედრა გახლდათ. მაშინ „იუვეს“ „მილანის“ ახლანდელი თავკაცი კარლო ანჩელოტი წვრთნიდა, კარს კი ჰოლანდიელი ედვინ ვან დერ სარი იცავდა.

„ჰამბურგზე“ კი უკვე გითხარით.

ცხადია, ტურინული კლუბის ევროსეზონთა ისტორიაში ლამაზადაა ჩაწიკწიკებული დიდი ანგარიშით მოგებული მატჩის ოქმებიც. დასტურად 1958-59 წლების სეზონის ჩემპიონთა თასის მატჩიც გამოდგება: „იუვემ“ ავსტრიული „ვინერ შპორტკლუბი“ 7:0 დაიბრიყვა.

**გიორგი ვაშაკიძე**

# ფეხბურთის რუკასთან



**ჰოლანდიელი** მეკარე ედ დე გუი ზაფხულში ლონდონურ „ჩელსის“ დატოვებს და კარიერას მშობლიურ ჩემპიონატში გააგრძელებს. დე გუის „სტემფორდ ბრიჯიდან“ წასვლის მიზეზი „ჩელსის“ იტალიელი გოლკიპერი კარლო კუდიჩინია, რომელიც წლეულს ჩინებულ სეზონს ატარებს და ჰოლანდიელს ძირითადი მეკარეობის შანსიც აღარ დაუტოვა.

**ჭუვეითის** ეროვნული გუნდის მწვრთნელად ცნობილი ბრაზილიელი სპეციალისტი პაულო სეზარ კარპეჯანი დაინიშნა. 53 წლის კარპეჯანიმ ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმა და ამ ხნის მანძილზე 520 ათას დოლარს მიიღებს. ბრაზილიელ მწვრთნელს აქამდე „ფლამენგოში“, „პალმეირასში“, „კრუზეიროსა“ და საუდეთის ნაკრებში უმუშავია, სახელი კი 1998 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე პარაგვაის ნაკრების თავკაცობით გაითქვა — კარპეჯანის მიერ დამოძღვრილმა პარაგვაელებმა მერვედფინალში გააღწიეს, სადაც დამატებით დროში ლორან ბლანის კინკილა გოლით მომავალ ჩემპიონებთან, ფრანგებთან დამარცხდნენ.

**რუსულ** „სპარტაკში“ მაროკოს ეროვნული გუნდის მეკარე აბდელა ბაგი ისინჯება. უკრაინელი მაქსიმ ლევიცკის გუნდიდან წასვლის მერე ოლეგ რომანცევი კვალიფიციური მეკარის ძებნაშია. ჯერჯერობით უცნობია, დარჩება თუ არა მაროკოელი ბაგი მოსკოვში. მას საქმეში ამხანაგური მატჩისას ნახავენ, როცა „სპარტაკი“ სამხრეთკორეულ კლუბ LG-ის გაეჯიბრება.

**უკრაინული** ფეხბურთის ფლაგმან კიევის „დინამოს“ ხელმძღვანელები აცხადებენ, რომ კლუბი ვერაფრით შეელევა თავის ორ ლეგიონერს — ბულგარელ გეორგი პეევს და ხორვატ ქერკო ლეკოს. პეევისადმი ინტერესი იტალიურ „მილანს“ და ინგლისურ „ფულემს“ გამოუჩენიათ, ლეკოს კი მიუნხენის „ბაიერნმა“ დაადგა თვალი. „სასიამოვნოა, როცა ჩვენი ფეხბურთელებით გრანდებიც ინტერესდებიან, თუმცა პეევის და ლეკოს გასხვისებას არ ვაპირებთ. ორივე „დინამოს“ წამყვანი ფეხბურთელია“ — აცხადებს კიევური კლუბის პრესსამსახურის შეფი სერგეი პოლხოვსკი. „დინამოში“ კი ამასობაში კიდევ ერთი ხორვატი მივიდა. თავდამსხმელი ივან ბოშნიაკი უკრაინის დედაქალაქში ზაგრებიდან ჩავიდა. ბოშნიაკს ალექსეი მიხაილიჩენკო, „დინამოს“ მწვრთნელი, ჰოლანდიურ შეკრებაზე გასინჯავს და თუ მოიწონებს, კონტრაქტსაც დაუყოვნებლივ გაუფორმებენ.

**იტალიური** „ვერონა“ ტურინის „იუვენტუსს“ ემუქრება, ტრანსფერში კუთვნილი თანხა სრულად და დროულად გადაგვიხადეთ, თორემ ჩვენს ყოფილ ნახევარმცველს, გაიტალიელებულ არგენტინელ მაურო ხერმან კამორანეზის უკან გამოვითხოვთო. ვერონელები მართლები არიან, „იუვეს“ ტრანსფერის მხოლოდ ნახევარი თანხა აქვს გადახდილი. დროს განგებ ჭიმავენ, „იუვენტუსთან“ საკმაოდ თბილი და მეგობრული ურთიერთობა გვაკავშირებს და არ მესმის, რატომ გვექცევიან ასეო, ამბობს „ვერონას“ პრეზიდენტი.

**ინგლისური** „მანჩესტერ სიტის“ კოსტარიკელი თავდამსხმელი პაულო ვანჩოპე ერთ-ერთი ვარჯიშისას მძიმედ დაშავდა და ფეხბურთს სეზონის ბოლომდე ვერ ითამაშებს. ვანჩოპეს თანაგუნდელთან შეჯახებისას მუხლი შეუბრუნდა და გადაუდებელ ოპერაციას საჭიროებს. „პაულო კვირას დაგვემტვრა, მისი ძალიან მეიმედებოდა“ — აცხადებს კევინ კიგანი, „სიტის“ მწვრთნელი, თუმცა კიგანის გულწრფელობა საეჭვოა — 28 წლის ფორვარდმა წლეულს თითზე ჩამოსათვლელი მატჩები თუ ითამაშა, „სიტის“ თავდასხმაში ფრანგი ნიკოლა ანელკა ჰყავს, ზამთრის სატრანსფერო სეზონისას კი რობი ფაულერიც შეიძინეს. „მეინ როუდზეც მეტოქეებს სწორედ ანელკა-ფაულერის დუეტი უტევს.

**მექსიკელი** ფორვარდი ანტონიო დე ნიგრისი „მონტერეიდან“ ესპანურ „ვილიარეალში“ სეზონის ბოლომდე იჯარის წესით გადავიდა. 24 წლის ფეხბურთელი „ვილიარეალის“ თავკაცმა ბენიტო ფლორომ პირადად მიიწვია, გუნდს უცილობლად წაადგებაო და გულისნადები კლუბის პრეზიდენტსაც გაუმხილა. დე ნიგრისს დებიუტი მექსიკის ჩემპიონატში სამი წლის უკან ჰქონდა. მან გოლების გატანა უმალვე დაიწყო და სპეციალისტებიც აალაპარაკა. მოკლედ, ბენიტო ფლორო მექსიკელის იმედზეა, ეგებ აქაც შეაგდოს ბურთები და „ვილიარეალიც“ პრიმერადივიზიონიდან გავარდნას გადაარჩინოსო.

# რაში შეცდება რაში?

**ბედნიერი ვიქნები,** თუ ხუთშაბათს ჩემი რეკორდი დაემხობა — თქვა „ლივერპულისა“ და უელსის ნაკრების ლეგენდამ, 41 წლის იან რაშმა, ვისაც, სხვა მრავალთან ერთად, მერსისაიდული კლუბის ევროპული რეკორდი ეკუთვნის — ევროთასებზე „ლივერპულის“ მეტოქეების კარში 20 გოლი აქვს გატანილი. ამ მიღწევის გასამეორებლად 23 წლის მაიკლ ოუენს დღეს ერთი ბურთის გატანა მართებს ფრანგულ „ოსერთან“ უეფას თასის საპასუხო მატჩში.

„ცხადია, ოუენი ამ რეკორდს ადრე თუ გვიან მოერევა, თუმცა სჯობს, ეს „ოსერთან“ მოხდეს — მთავარი ხომ ჩვენი კლუბის შემდეგ წრეში გასვლაა“ — აცხადებს რაში, ვისაც ამ რამდენიმე კვირის წინ კვლავ უხმეს „ლივერპულში“, რათა არცთუ იდეალურ ფორმაში მყოფი ოუენი და მისი კოლეგები (ანუ თავდამსხმელები) საგანგებოდ ავარჯიშოს. რაშზე უკეთეს კაცს მართლაც სად იპოვნიდნენ — მხოლოდ „ლივერპულის“ შემადგენლობაში მას 346 გოლი აქვს მითვლილი.

რაში განაგრძობს: „ეს ჩვენთვის მეტად მნიშვნელოვანი კვირაა. არავინ იფიქროს, თითქოს სტუმრად 1:0 გამარჯვება მეოთხედფინალში გასვლის გარანტიაა. „ოსერი“ კონტრშეტევებზეც გადასარევად თამაშობს, თანაც ფრანგებს ჯიბრილ სისე დაუბრუნდებათ, ეს კაცი კი მეტად საშიში ვინმეა. მერე, კვირას, „მანჩესტერ იუნაიტედთან“ ლიგის თასის ფინალი გველის. ამიტომ „ბირმინგემთან“ მარცხი სასწრაფოდ უნდა ამოვიგდოთ თავიდან და ამაში დიდი წვლილი ჩვენმა გულშემატკივრებმა უნდა შეიტანონ. ვფიქრობ, ამ ორივე თამაშის მოგებაც შეგვიძლია და პრემიერლიგის ოთხეულში მოხვედრაც, რაც მომავალ წელს ჩემპიონთა ლიგაში დაგვაბრუნებს“.




იან რაშმა, ოუენს სიამოვნებით გაგატარებო

მოკლედ, იან რაში იმედიანადაა, თუმცა რაში შეცდება ბრიტანული ფეხბურთის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე შედეგიანი თავდამსხმელი, უახლოეს დღეებში გამოჩნდება.

**გიგა ძოგახიძე**

| 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო | | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 27 თებერვალი | | | | | | | | | |
| 21.30 | 2109 | ბეშიქთაში-სლავია | 2,5 | 10,0 | 20,0 | 3,5 | 4,4 | 8,0 | 20,0 | 10,0 | 7,0 |
| 22.00 | 2110 | აეკ-მალაგა | 3,2 | 10,0 | 20,0 | 4,2 | 4,4 | 6,0 | 20,0 | 10,0 | 5,3 |
| 22.30 | 2111 | შტუტგარტი-სელტიკი | 2,9 | 10,0 | 20,0 | 4,0 | 4,4 | 6,5 | 20,0 | 10,0 | 6,0 |
| 23.00 | 2112 | დენიზლი-პორტუ | 3,3 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 5,3 | 20,0 | 10,0 | 4,4 |
| 23.30 | 2113 | ანდერლეხტი-პანათინ. | 2,9 | 10,0 | 20,0 | 4,0 | 4,4 | 6,5 | 20,0 | 10,0 | 5,6 |
| 23.45 | 2114 | ვისლა-ლაციო | 4,4 | 10,0 | 20,0 | 5,0 | 4,4 | 4,4 | 20,0 | 10,0 | 3,6 |
| 00.05 | 2115 | ლივერპული-ოსერი | 2,3 | 10,0 | 20,0 | 3,3 | 4,4 | 10,0 | 20,0 | 10,0 | 9,0 |
| 00.30 | 2116 | ბოავიშტა-ჰერტა | 3,6 | 10,0 | 20,0 | 4,6 | 4,4 | 5,0 | 20,0 | 10,0 | 4,2 |


სამ თბილისურ ბიუროში
კონსტანტინე გამსახურდიას გამზირი № 3;
ვაჟა ფშაველას გამზირი №46
(მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან", ყოფილი „დელისი");
დიღომი, III კვარტალი, გრიგოლ
რობაქიძის გამზირი, I კორპუსი
[illegible] უქმეებში სამუშაო დრო გაახანგრძლივა
შაბათი 12.00-21.30 კვირა 12.00-20.30

### შემდეგ ეტაპზე გასვლა

27 თებერვალი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 21.30 | 2701 | ბეშიქთაში-სლავია | 1,8 | 1,8 |
| 22.00 | 2702 | აეკ-მალაგა | 1,7 | 1,9 |
| 22.30 | 2703 | შტუტგარტი-სელტიკი | 2,9 | 1,25 |
| 23.00 | 2704 | დენიზლი-პორტუ | 99,0 | — |
| 23.30 | 2705 | ანდერლეხტი-პანათინაიკოსი | 6,0 | 1,05 |
| 23.45 | 2706 | ვისლა-ლაციო | 1,5 | 2,1 |
| 00.05 | 2707 | ლივერპული-ოსერი | 1,03 | 5,6 |
| 00.30 | 2708 | ბოავიშტა-ჰერტა | 2,2 | 1,5 |

### I ტაიმის შედეგი

27 თებერვალი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21.30 | 2009 | ბეშიქთაში-სლავია | 2,1 | 2,15 | 5,3 | 1,06 | 1,5 | 1,52 |
| 22.00 | 2010 | აეკ-მალაგა | 2,5 | 2,05 | 4,0 | 1,12 | 1,53 | 1,35 |
| 22.30 | 2011 | შტუტგარტი-სელტიკი | 2,4 | 2,05 | 4,4 | 1,1 | 1,55 | 1,39 |
| 23.00 | 2012 | დენიზლი-პორტუ | 2,7 | 2,1 | 3,5 | 1,18 | 1,52 | 1,31 |
| 23.30 | 2013 | ანდერლეხტი-პანათინაიკოსი | 2,35 | 2,1 | 4,4 | 1,1 | 1,53 | 1,42 |
| 23.45 | 2014 | ვისლა-ლაციო | 3,4 | 2,1 | 2,8 | 1,29 | 1,53 | 1,19 |
| 00.05 | 2015 | ლივერპული-ოსერი | 2,1 | 2,1 | 5,6 | 1,04 | 1,52 | 1,52 |
| 00.30 | 2016 | ბოავიშტა-ჰერტა | 2,8 | 2,1 | 3,4 | 1,19 | 1,53 | 1,29 |

### გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

27 თებერვალი

| | | | კი | არა |
|---|---|---|---|---|
| 21.30 | 2309 | ბეშიქთაში-სლავია | 1,7 | 1,9 |
| 22.00 | 2310 | აეკ-მალაგა | 1,7 | 1,9 |
| 22.30 | 2311 | შტუტგარტი-სელტიკი | 1,7 | 1,9 |
| 23.00 | 2312 | დენიზლი-პორტუ | 1,65 | 1,95 |
| 23.30 | 2313 | ანდერლეხტი-პანათინაიკოსი | 1,7 | 1,9 |
| 23.45 | 2314 | ვისლა-ლაციო | 1,6 | 2,0 |
| 00.05 | 2315 | ლივერპული-ოსერი | 1,75 | 1,85 |
| 00.30 | 2316 | ბოავიშტა-ჰერტა | 1,7 | 1,9 |

### რამდენი გოლი გავა მატჩში. (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

27 თებერვალი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 21.30 | 2209 | ბეშიქთაში-სლავია | 1,8 | 1,8 |
| 22.00 | 2210 | აეკ-მალაგა | 1,8 | 1,8 |
| 22.30 | 2211 | შტუტგარტი-სელტიკი | 1,9 | 1,7 |
| 23.00 | 2212 | დენიზლი-პორტუ | 1,9 | 1,7 |
| 23.30 | 2213 | ანდერლეხტი-პანათინაიკოსი | 1,85 | 1,75 |
| 23.45 | 2214 | ვისლა-ლაციო | 1,9 | 1,7 |
| 00.05 | 2215 | ლივერპული-ოსერი | 1,8 | 1,8 |
| 00.30 | 2216 | ბოავიშტა-ჰერტა | 1,9 | 1,7 |

### რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

27 თებერვალი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 21.30 | 2409 | ბეშიქთაში-სლავია | 1,5 | 2,6 |
| 22.00 | 2410 | აეკ-მალაგა | 1,75 | 2,1 |
| 22.30 | 2411 | შტუტგარტი-სელტიკი | 1,7 | 2,2 |
| 23.00 | 2412 | დენიზლი-პორტუ | 1,8 | 2,0 |
| 23.30 | 2413 | ანდერლეხტი-პანათინაიკოსი | 1,7 | 2,2 |
| 23.45 | 2414 | ვისლა-ლაციო | 2,0 | 1,8 |
| 00.05 | 2415 | ლივერპული-ოსერი | 1,5 | 2,6 |
| 00.30 | 2416 | ბოავიშტა-ჰერტა | 1,85 | 1,95 |

### რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

27 თებერვალი

| | | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|---|
| 21.30 | 2509 | ბეშიქთაში-სლავია | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 22.00 | 2510 | აეკ-მალაგა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 22.30 | 2511 | შტუტგარტი-სელტიკი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 23.00 | 2512 | დენიზლი-პორტუ | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 23.30 | 2513 | ანდერლეხტი-პანათინაიკოსი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 23.45 | 2514 | ვისლა-ლაციო | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 00.05 | 2515 | ლივერპული-ოსერი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 00.30 | 2516 | ბოავიშტა-ჰერტა | 3,0 | 2,8 | 2,0 |

**კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

# ჩემპიონობა და თასის აღება

**უეფას თასი**
**27 თებერვალი (21.15)**

| | | |
|---|---|---|
| 022 | ლივერპული | 3,0 |
| 021 | ლაციო | 5,0 |
| 024 | პორტუ | 7,0 |
| 025 | სელტიკი | 7,0 |
| 023 | ჰერტა | 8,0 |
| 026 | მალაგა | 10.0 |
| 027 | პანათინაიკოსი | 12.0 |
| 029 | შტუტგარტი | 15.0 |
| 031 | აეკ | 15,0 |
| 032 | ბეშიქთაში | 20,0 |
| 033 | სლავია | 30,0 |
| 036 | ვისლა | 30,0 |
| 034 | ბოავიშტა | 30,0 |
| 028 | ოსერი | 40,0 |
| 030 | ანდერლეხტი | 50,0 |
| 035 | დენიზლი | 999,0 |

**ინგლისი. პრემიერლიგა**
**1 მარტი (16.30)**

| | | |
|---|---|---|
| 051 | არსენალი | 1.25 |
| 052 | მანჩესტერი | 3.2 |
| 055 | ნიუკასლი | 10,0 |

**იტალია. სერია A**
**1 მარტი (21.00)**

| | | |
|---|---|---|
| 061 | მილანი | 2,4 |
| 062 | ინტერი | 2,5 |
| 063 | იუვენტუსი | 2,5 |
| 064 | ლაციო | 10,0 |

**ესპანეთი. I დივიზიონი**
**1 მარტი (22.00)**

| | | |
|---|---|---|
| 071 | რეალი | 1,35 |
| 072 | სოსიედადი | 2,5 |
| 073 | ვალენსია | 3,6 |
| 074 | დეპორტივო | 9,0 |
| 075 | სელტა | 50,0 |
| 076 | ბეტისი | 50,0 |

**საფრანგეთი. I დივიზიონი**
**28 თებერვალი 23.30**

| | | |
|---|---|---|
| 082 | ლიონი | 2,8 |
| 081 | მარსელი | 2,8 |
| 083 | მონაკო | 2,8 |
| 084 | ოსერი | 4,4 |
| 089 | ბორდო | 7,0 |
| 086 | ნიცა | 9,0 |
| 087 | ლანსი | 10,0 |
| 088 | ნანტი | 10,0 |
| 085 | პსჟ | 12,0 |

**ჰოლანდია. I დივიზიონი**
**1 მარტი (22.30)**

| | | |
|---|---|---|
| 101 | პსვ | 1.2 |
| 102 | აიაქსი | 3,2 |

**საბერძნეთი. I დივიზიონი**
**1 მარტი (18.00)**

| | | |
|---|---|---|
| 121 | ოლიმპიაკოსი | 1,6 |
| 122 | პანათინაიკოსი | 1,8 |
| 123 | პაოკი | 10,0 |
| 124 | აეკ | 12,0 |

**ჩეხეთი.**
**1 მარტი (17.25)**

| | | |
|---|---|---|
| 191 | სპარტა | 1,3 |
| 192 | სლავია | 2,5 |

**პოლონეთი**
**7 მარტი (23.00)**

| | | |
|---|---|---|
| 196 | ვისლა | 1,25 |
| 197 | ლეგია | 3,0 |
| 198 | კატოვიცე | 5,0 |
| 199 | ოდრა | 8,0 |

**თურქეთი. I ლიგა**
**28 თებერვალი (22.00)**

| | | |
|---|---|---|
| 131 | გალათასარაი | 2,3 |
| 132 | ბეშიქთაში | 1,4 |
| 133 | ფენერბაჩე | 10,0 |

**შოტლანდია**
**პრემიერლიგა**
**2 მარტი (19.00)**

| | | |
|---|---|---|
| 141 | რეინჯერსი | 1,45 |
| 142 | სელტიკი | 2,2 |

**დანია. სუპერლიგა**
**16 მარტი (18.00)**

| | | |
|---|---|---|
| 151 | კოპენჰაგენი | 1,05 |
| 152 | ბრიონდბიუ | 4,0 |
| 153 | ოლბორგი | 10,0 |

**შვეიცარია. A ლიგა**
**1 მარტი (20.30)**

| | | |
|---|---|---|
| 161 | ბაზელი | 1,6 |
| 162 | გრასჰოპერი | 2,0 |

**ჰოკეი. NHL. სტენლის თასი**
**1 მარტი (24.00)**

| | | |
|---|---|---|
| 201 | დეტროიტი | 3,5 |
| 202 | დალასი | 4,0 |
| 203 | ფილადელფია | 5,0 |
| 204 | ბოსტონი | 6,0 |
| 205 | ნიუ ჯერსი | 7,0 |
| 206 | კოლორადო | 8,0 |
| 207 | ოტავა | 8,0 |
| 208 | ვანკუვერი | 12,0 |
| 209 | სენტ ლუისი | 12,0 |
| 210 | ტამპა ბეი | 15,0 |
| 211 | მინესოტა | 15,0 |
| 212 | ტორონტო | 20,0 |
| 213 | კაროლინა | 20,0 |
| 214 | ლოს ანჯელესი | 20,0 |
| 215 | ვაშინგტონი | 30,0 |
| 216 | სან ხოსე | 30,0 |
| 217 | მონრეალი | 40,0 |
| 218 | ანაჰაიმი | 50,0 |
| 219 | პიტსბურგი | 50,0 |
| 220 | ჩიკაგო | 50,0 |
| 221 | ედმონტონი | 50,0 |
| 222 | რეინჯერსი | 100,0 |
| 223 | ფლორიდა | 150,0 |
| 224 | აილენდერსი | 150,0 |
| 225 | ფინიქსი | 200,0 |
| 226 | კოლუმბუსი | 200,0 |
| 227 | კალგარი | 300,0 |
| 228 | ბუფალო | 300,0 |
| 229 | ატლანტა | 500,0 |
| 230 | ნეშვილი | 500,0 |

**კალათბურთი. NBA. თასი**
**1 მარტი (24.00)**

| | | |
|---|---|---|
| 231 | დალასი | 3,0 |
| 232 | საკრამენტო | 3,0 |
| 233 | ლეიკერსი | 4,0 |
| 234 | ნიუ ჯერსი | 10,0 |
| 235 | ინდიანა | 10,0 |
| 236 | სან ანტონიო | 10,0 |
| 237 | ფილადელფია | 15,0 |
| 238 | ბოსტონი | 15,0 |
| 239 | ორლანდო | 25,0 |
| 240 | ნიუ ორლეანი | 25,0 |
| 241 | დეტროიტი | 25,0 |
| 242 | პორტლენდი | 35,0 |
| 243 | ჰიუსტონი | 35,0 |
| 244 | მინესოტა | 50,0 |
| 245 | სიეტლი | 50,0 |
| 246 | ფინიქსი | 75,0 |
| 247 | მილუოკი | 75,0 |
| 248 | იუტა | 75,0 |
| 249 | ატლანტა | 100,0 |
| 250 | ვაშინგტონი | 100,0 |
| 251 | ტორონტო | 150,0 |
| 252 | ნიუ იორკი | 150,0 |
| 253 | კლიპერსი | 150,0 |
| 254 | მაიამი | 200.0 |
| 255 | ჩიკაგო | 500,0 |
| 256 | გოლდენ სტ. | 999.0 |
| 257 | მემფისი | 999,0 |
| 258 | დენვერი | 999,0 |
| 259 | კლივლენდი | 999,0 |


სარბიელი

**სპორტული ლატარია**

CROCO BOOKMAKERS

**კროკო**

*ამჟამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახლებული ქალაქების სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, შპს კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება.*


### კროკოს ბიუროთა მისამართები

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | ფურცელაძის ქუჩა №10 | კინოთეატრ „რუსთაველი" შენობაში |
| | ალმაშენებლის გამზირი | №2 ცენტრალური ფოსტამტი |
| | გლდანი | I სავაჭრო ცენტრი |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №46 | მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან" (ყოფილი „დელისი") |
| | ნინოშვილის/ჩიქობავას? ქუჩა №200 | ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში |
| | გურამიშვილის გამზირი №50 | მეტრო „ღრმაღელესთან" |
| | წერეთლის გამზირი, კორპუსი №11 | |
| | ჭავჭავაძის გამზირი № 41 | |
| | გამსახურდიას გამზირი № 3 | |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №91 | |
| | იოანე პეტრიწის ქუჩა №13 | დიდი დიღომი, მეორე მიკრორაიონი |
| | ხუდადოვის ქუჩა №4 | |
| | დიღომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, 1[a] კორპუსი | |
| | ვარკეთილი, კალიუჟნის „აბ" კორპუსი №48 | |
| | მელიქიშვილის ქუჩა №15 | |
| ქუთაისი | პუშკინის ქუჩა №16 | ტელეკომპანია „ივერიონის" შენობაში |
| | ფალიაშვილის ქუჩა № 27 | |
| | ჭავჭავაძის № 67 | ცენტრალური ავტოსადგური |
| გორი | ცხინვალის გზატკეცილი №11 | წმინდანწყლის დასახლება |
| | სტალინის ქუჩა №14 | |
| თელავი | კოსტავას ქუჩა №23 | |
| რუსთავი | მარჯანიშვილის? ქუჩა №7 | |
| | კოსტავას გამზირი №23 | |
| ბათუმი | მემედ აბაშიძის ქუჩა №21 | ყოფილი სტალინის ქუჩა |
| | ერის ქუჩა №66 | ყოფილი გორკის ქუჩა |
| | ჯავახიშვილის ქუჩა №78 | |
| | ჭავჭავაძის ქუჩა № 113 | |
| | ალმაშენებლის ქუჩა № 21 | (სავაჭრო ცენტრი ალამი 1) |
| | ჭავჭავაძის ქუჩა № 13 | |
| ხელვაჩაური | აღმაშენებლის ქუჩა № 50 | |
| მარნეული | რუსთაველის ქუჩა №39 | |
| ოზურგეთი | გურიის ქუჩა №23 | |
| გურჯაანი | დავით გურამიშვილის ქუჩა №28 | |
| ფოთი | რკალი, რუსთაველის №18 | |
| საგარეჯო | დავით აღმაშენებლის №30 | |
| სამტრედია | რუსთაველის გამზირი №27 | |
| ხაშური | რუსთაველის ქუჩა №16 | |
| წნორი | სტალინის ქუჩა №1 | |
| ბორჯომი | რუსთაველის ქუჩა №145 | |
| ზესტაფონი | გრიგოლ რობაქიძის ქუჩა №6 | |
| ახალციხე | ნათენაძის ქუჩა №7 | |
| ქობულეთი | სასტუმრო „ივერიის" მიმდებარე ტერიტორია | |
| სარფი | საბაჟო პუნქტის პირდაპირ | |

NBA რეგულარული ჩემპიონატი

# კარგი ბიჭი ხარ, ნიჭიერი, მაგრამ... ნუ ეჯიბრები ცოცხალ კლასიკოსს



ვლადიმერ სტეფანია ტიმ დანკანთან (21) ჭიდილში მაგრად გაწვალდა

AP სან ანტონიოდან

25 თებერვალი

**სან ანტონიო 84:69 მაიამი**

**სან ანტონიო:** პარკერი (9), ჯეკსონი (9), ბოუენი (11), დანკანი (17 ქულა, 10 მოხსნა), რობინსონი (2); როუზი (14), ჯინობილი (10), კლაქსტონი (5), ვილისი (4), სმიტი (3), კერი, ფერი
**მაიამი:** ბეკი (2), ჯონსი (13), რ. ბატლერი (7), ალენი (6), გრანტი (2); ლემბლი (11), ელისი (8), სტეფანია (15 წუთი, 6 ქულა, 7 მოხსნა, 2 ჩაჭრა), მარქსი (6), ჯეიმსი (4), პაუსი (4)

**ლეიკერსი 109:98 კლიპერსი**

**ლეიკერსი:** ონილი (33), ბრაიანტი (32)
**კლიპერსი:** მეჯიტი (22), ბრენდი (21)

**ორლანდო 98:93 დალასი**

**ორლანდო:** მაკგრეიდი (26), გუდენი (20 ქულა, 10 მოხსნა), გირიჩეკი (20)
**დალასი:** ნოვიცკი (26), ვან ექსელი (18), ფინლი (17)

**ინდიანა 78:83 ვაშინგტონი**

**ინდიანა:** რ. მილერი (25), ონილი (16 ქულა, 15 მოხსნა)
**ვაშინგტონი:** ჯორდანი (25), ლუ (18 ქულა, 11 პასი)

**კლივლენდი 93:90 ნიუ ჯერსი**

**კლივლენდი:** ილგაუსკასი (29), დევისი (19)
**ნიუ ჯერსი:** კიდი (31)

**ნიუ იორკი 102:95 ჰიუსტონი**

**ნიუ იორკი:** ჰიუსტონი (28)
**ჰიუსტონი:** მობლი (25), მინგი (24), ფრენსისი (19 ქულა, 12 მოხსნა)

**საკრამენტო 81:75 დეტროიტი**

**საკრამენტო:** ვებერი (19 ქულა, 13 მოხსნა)
**დეტროიტი:** ჰამილტონი (18), ვოლესი (6 ქულა, 19 მოხსნა)

**პორტლენდი 89:86 ატლანტა**

**პორტლენდი:** ვოლესი (24)
**ატლანტა:** რობინსონი (24)

ვის ვის და, ნბა-ს მოსაწყენად ნამდვილად არ სცალია. აქეთ „ოლ სტარიო", იქით ჯორდანის მრგვალი იუბილეი, შემდეგ სეზონის უძვირფასესი მოთამაშის პრიზის სულზე მეტად მნდომმა კობი ბრაიანტმა 40-40 ქულიანი მატჩების კასკადი მოაწყო და რა გასაკვირია, თუ ამ ცისარტყელოვანი ფოიერვერკის შემყურეთ ერთი ნაცრისფერი ამბავი გამოგვრჩა — მუდამ სტაბილური „სან ანტონიო სფურზი" განუხრელად ადგას თავის გზას და ახალი წლის შემდეგ ყველა ბობოლაზე მეტი გამარჯვებაც მოჰგროვებია. „სფურზის" „ნაცრისფეროვნებაც" ისაა, რომ მისი გამარჯვებები „ლეიკერსის" წარმატებებივით არ გვეფეთებიან თვალში, მაგრამ სამაგიეროდ, ბარაქიანად კი დახვავებულან. 2003 წელს „სფურზს" 20 მოგება მიუთვლია მხოლოდ 4 მარცხის წილ და ამ შედეგით ყველა მსუქან გუნდზე, თვით „დალასზე" წინაც დგას.

გუშინწინ „სან ანტონიო" ჩვენებური ვლად სტეფანიას „მაიამის" დაუხვდა და არც გვიკვირს, რომ პირში ჩალა გამოავლო. სტეფანიას არა უშავდა, მისი წილი 6 ქულა და 7 მოხსნა ურიგო მონაგარი როდია იმ ფაქტორის გათვალისწინებით, რომ ჩვენებური წინა სეზონის უყოჩაღეს ვარსკვლავს, ტიმ დანკანს ეჭიდავებოდა და კარგადაც. ეგაა, დანკანმა ვოვას ორჯერ დაუფარა.

რაც შეეხება „მაიამის", მისი მარცხის კონტურები უკვე პირველი მეოთხედის შემდეგ მოიხაზა, რომელიც სტეფანიას გუნდმა 15:24 დათმო. დანკანმა, ტონი პარკერმა და ბიჭებმა დასაწყისშივე მოათავეს საქმე, მერე ნებივრად მიესვენნენ სათადარიგოთა სკამზე და ბურთი და მოედანი ღრმა სამარქაფოებს გადაულოცეს. ამათაც, მათ შორის თბილისში 80-იან წლებში ნამყოფმა ბეხრეკმა კევინ ვილისმა „მაიამის" გაფართხალების შანსიც არ მისცეს.

მეორე ყოჩაღ დასავლელს „საკრამენტო კინგზს" დაუბრუნდა მოზვერა ლიდერი კრის ვებერი და პირველივე თამაშში თქვა თავისი სიტყვა. მისი „კინგზი" „დეტროიტს" ხვდებოდა, ამ გუნდს კი მთავარ იარაღად დაცვის მონსტრი ბენ ვოლესი, ვებერისავე ამპლუის კაცი-კედელი მოეძევება. დაუდგა ვოლესი ვებერს და სანაქებოდაც, კრისმა 35 წუთში სულ 13 ქულა ჩააგდო, მაგრამ ვოლესმა ბოლომდე მაინც ვერ მოაშთო ნატრავმალი ვებერი. კრისი სწორედ კრიტიკულ ფაზაში აფეთქდა და ბოლო წუთნახევარში ექვსი ქულა გააკეთა. „საკრამენტომაც" ამდენივე ქულით მოიგო.

ამასობაში კი „სან ანტონიოსა" და „საკრამენტოს" ზეობათა ფონზე ერთხელაც წაიბორძიკა მიმდინარე სეზონში ტოლუპოვარმა „დალასმა". მისი თამაშის გამშუქებელი ჟურნალისტები კი კალათბურთის ქომაგები აწვეთებენ იმ ვარაუდს, რომ ასე გაგრძელების შემთხვევაში „დალასი" ალბათ დათმობს პოზიციებს.

ტეხასურ გრანდს ამერად მჭლე ალმოსავლელმა „ორლანდო მეჯიქმა" მოუგო. მჭლე კი ვუწოდეთ, მაგრამ „მემფისთან" ავანტიურისტული ვაჭრობის შემდეგ „ორლანდო" ლაღლაღა ფერზე მოვიდა.

ამ რამდენიმე დღი წინ ფლორიდელთა მუდმივმა გაწბილებამ, გრანტ ჰილმა თავის დანავსულ მარცხენა კოჭზე მორიგი, თუ არ გვეშლება, მეოთხე ოპერაცია გაიკეთა და „მეჯიქი" ისევ ტრეისი მაკგრეიდის დაუტოვა სათრევად. წესით, „ორლანდოს" კრიზისში უნდა გადავარდნილიყო, მაგრამ, როგორც ვთქვით, „მემფისთან" ვაჭრობამ მოუსწრო. ამ გუნდიდან მაიკ მილერის ნაცვლად გადმოყვანილი ორი ყოჩაღი ახალბედა — დრიუ გუდენი და გორდან გირიჩეკი ხალისით შეეშველნენ მაკგრეიდის და შედეგიც თვალსაჩინოა — „ორლანდომ" ბოლო ოთხი თამაში მოიგო. ამ თამაშებში გუდენი საშუალოდ 19 ქულასა და 9 მოხსნას გამოვიდა, არც ხორვატი გირიჩეკი ძუნწობს, 16,7 ქულა და 5,7 მოხსნა საპატიო მონაგარია ევროპიდან სულ სამი თვის წინ აბარგებული ბედის ლამის ბრმად მაძიებელისთვის.

გირიჩეკმაც „დალასს", გუდენის დარად, 20 ქულა ჩაუგდო და ამ გუნდის მწვრთნელებს — მამა-შვილ დონ ნელსონებს სინანულის ნაპერწკალი აუგიზგიზა. გირიჩეკი სადრაფტო კანონებით ხომ „დალასს" ეკუთვნოდა, მაგრამ ვერც ნელსონებმა და მერე ვერც „მემფისმა" ვერ შეირგეს ეს საჩუქარი.

ყველაფერი კარგი და, ამასობაში ლეიკერსელ ჯადობიჭუნას კობი ბრაიანტს ჯადომატჩების სერიის შეწყვეტის დროც დაუდგა. კობიმ ზედიზედ 9 მატჩში გააკეთა 40 და მეტი ქულა და გაუტოლდა მაიკლ ჯორდანის 16 წლისწინანდელ მიღწევას. ამ მხრივ რეკორდსმენი აწ განსვენებული უილტ ჩემბერლენია, რომელსაც შორეულ 1962 წელს 40 და პლუსქულიანი თამაშები მიჯრით 13 ცალი ჩამოუმწკრივებია. ბრაიანტი ჩემბერლენს არ ეტოქება, ამბობს, უილტი ლეგენდაა და რას შევწვდებით, მას ჯორდანის გადასწრება სურდა, მაგრამ აკი მე-10 თამაშზე გაიჭედა.

ამ სამშაბათს მისი „ლეიკერსი" ლოსანჯელესურ დერბიში შეხვდა კოჭლ „კლიპერსს" და ბრაიანტს მაინცდამაინც აქ დაუცდა ფეხი — მას „მხოლოდ" 32 მოუგროვდა. კობის ამბავი ყველას მოგვეხსენება. ეს ბიჭი მაიკლ ჯორდანს ეზომება, მაგრამ ჯერ მხოლოდ ჭაპამდე თუ მისწვდება. მართალია, კობი მაიკლივით ზედიზედ იხვეჭს საჩემპიონო ბეჭდებს, მაგრამ მას ჯერ არ მიუგია სეზონის უძვირფასესი მოთამაშის ტიტული (ჯორდანი 5-გზის უძვირფასესია) და არც სეზონის პირველქულელ ფიგურის ბედნიერება ჰქონია (ჯორდანი 10-ჯერ იყო სეზონის ბომბარდირი). ასე რომ, კობის ამბიციები აშკარად უსწრებს მის შესაძლებლობებს.

...ჯორდანი კი 40 წლისაც ჯორდანია. 43 და 30-ქულიანი თამაშების შემდეგ მან კვლავ ჭაბუკური ჯიგრით იბურთავა და აგერ, ყოჩაღ „ინდიანას" 25 ქულა აძგერა.

**ირაკლი ფირუზაშვილი**





მაიკლ ჯორდანის გადასწრებაზე მეოცნებე კობი ბრაიანტს ბურთი ნაცარში ჩაუვარდა

| აღმოსავლეთის კონფერენცია | | | |
|---|---|---|---|
| **ატლანტის დივიზიონი** | | | |
| ნიუ ჯერსი | 37 | 21 | 63,8 |
| ფილადელფია | 31 | 24 | 56,4 |
| ბოსტონი | 31 | 25 | 55,4 |
| ორლანდო | 29 | 29 | 50,0 |
| ვაშინგტონი | 27 | 29 | 48,2 |
| ნიუ იორკი | 24 | 32 | 42,9 |
| მაიამი | 19 | 37 | 33,9 |
| **ცენტრალური დივიზიონი** | | | |
| დეტროიტი | 37 | 20 | 64,9 |
| ინდიანა | 37 | 20 | 64,9 |
| ნიუ ორლეანი | 31 | 27 | 53,4 |
| მილუოკი | 28 | 28 | 50,0 |
| ატლანტა | 21 | 36 | 36,8 |
| ჩიკაგო | 20 | 38 | 34,5 |
| ტორონტო | 17 | 36 | 32,1 |
| კლივლენდი | 11 | 46 | 19,3 |

| დასავლეთის კონფერენცია | | | |
|---|---|---|---|
| **შუა დასავლეთის დივიზიონი** | | | |
| დალასი | 44 | 13 | 77,2 |
| სან ანტონიო | 39 | 17 | 69,6 |
| მინესოტა | 37 | 21 | 63,8 |
| იუტა | 33 | 22 | 60,0 |
| ჰიუსტონი | 30 | 27 | 52,6 |
| მემფისი | 17 | 38 | 30,9 |
| დენვერი | 12 | 45 | 21,1 |
| **წყნარი ოკეანის დივიზიონი** | | | |
| საკრამენტო | 40 | 18 | 69,0 |
| პორტლენდი | 36 | 20 | 64,3 |
| ლეიკერსი | 31 | 25 | 55,4 |
| ფინიქსი | 30 | 27 | 52,6 |
| გოლდენ სტეიტი | 27 | 30 | 47,4 |
| სიეტლი | 24 | 31 | 43,6 |
| კლიპერსი | 19 | 36 | 34,5 |

# დენვერი ასე ვერ აშენდება ნაგიტსი ძალიან იაფ მუშახელს ქირაობს

ოფიციალურად ჯერ არ გამოცხადებულა, მაგრამ როგორც ამერიკელი ჟურნალისტები სარწმუნო წყაროებზე დაყრდნობით იუწყებიან, ნიკა ცქიტიშვილის „დენვერ ნაგიტსს" გუშინ (ჩვენთვის დღეს) ვეტერანი უკანახაზელი კრის ვიტნი გუნდიდან უნდა გაეშვა.

„ეს ჩვენთვისაც ხელსაყრელი იქნება და ვიტნისთვისაც — ამბობს დენვერელთა თავკაცი ჯეფ ბზდელიკი — სხვა გუნდები მას უკეთეს პირობებს სთავაზობენ, ჩვენ კი შემადგენლობის უკეთ დაბალანსების საშუალება მოგვეცემა, მეტ ყურადღებას მივაქცევთ ახალგაზრდებს."

ბზდელიკის სიტყვებში სიყალბე შეინიშნება, რადგან ვიტნი „დენვერში" წლიურად 3 მილიონ დოლარს იღებდა, „ორლანდო" კი, რომელმაც უკვე გამოთქვა „ნაგიტსის" უკანახაზელის აყვანის სურვილი, მხოლოდ 300 ათასს გამოდის.

რეალურად ვეტერანი კალათბურთელი დენვერელთა „ახალგაზრდულ" პოლიტიკას შეეწირა. რამდენიმე დღის წინ ბზდელიკის გუნდმა მარკ ბლუნტისა და მარკ ბრაიანტის სანაცვლოდ „ბოსტონიდან" უკანახაზელი შემონდ უილიამსი შეიმატა, რომელიც შესაძლოა ვიტნიზე ყოჩაღი ვერაა, მაგრამ გაცილებით მცირე გასამრჯელოზეც ყაბულსაა და, რაც მთავარია, ახალგაზრდაა.

ნბა-ში თამაშის ცხრაწლიანი სტაჟის მქონე ვიტნი „დენვერმა" სეზონის დასაწყისში აიყვანა „ვაშინგტონიდან". ის გუნდის ერთ-ერთ საუკეთესო მსროლელი იყო და საშუალოდ მატჩში 9,6 ქულასა და 4,3 პასს იხვეჭდა. თუმცა, როცა „ბებერი" ვიტნის ახალგაზრდა შემცვლელი გამოჩნდა, დენვერელებმა ის დაუფიქრებლად მოიშორეს.

აი, კიდევ რითი იმართლებს ბზდელიკი ვიტნის წინაშე თავს: „ის იყო ჩვენი გუნდის ერთ-ერთი ნამდვილი პროფესიონალი და „დენვერიც" იმედის თვალით შეჰყურებდა მას. თუმცა კრისს ტრავმები დასჩემდა და ბევრი თამაში გამოტოვა."

**ირაკლი ბერტაია**



კრის ვიტნი „დენვერის" ბალღებშიც არ დააყენეს

# 1 მარტი საქართველოს ნაკრებს თავი მოებმება?

**26 თებერვალს** საქართველოს კალათბურთის ფედერაციას ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი უნდა დაესახელებინა. მიზეზთა გამო ეს თარიღი 1 მარტით შეიცვალა. ამ ეტაპზე კი ირკვევა, რომ ორი უცხოელი კანდიდატიდან ერთი შეარჩია, რომელსაც კალათბურთის ფედერაცია უკვე სიტყვიერადაც შეუთანხმდა.

„მწვრთნელი უკვე შევარჩიეთ და მასთან სიტყვიერ შეთანხმებას მივაღწიეთ. 1 მარტამდე მან საბოლოოდ უნდა გადაწყვიტოს, ჩაიბარებს თუ არა საქართველოს ნაკრებს. ამ ხნის მანძილზე ჩვენ არ გვაქვს მისი ვინაობის გამჟღავნების უფლება" — გვითხრა ფედერაციის გენერალურმა მდივანმა მერაბ რატიშვილმა.

ჩვენ კი შეგახსენებთ, რომ საქართველოს ნაკრებს 2001 წლის სექტემბრიდან არ ჰყავს მთავარი მწვრთნელი. მაშინ 2003 წლის ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპზე ჩავარდნილი ეროვნული გუნდი ზურაბ ტომარაძემ დატოვა. მას შემდეგ ნაკრები აღარც შეკრებილა.

**ირაკლი პერტაია**

# გატეხა

## მარცხმა გული, გულმა ბოთლი, ბოთლმა კაცი

**ხალისიან** და სიცოცხლით აღსავსე „ინდიანა პეისერზში" მალე ალბათ პანიკა იფეთქებს. აღმოსავლეთ კონფერენციის, საღეისოდ უკვე ყოფილი ლიდერი დაღმა მიექანება და პანტაპუნტით აგებს თამაშებს. „პეისერზმა" ბოლო ხელიზე ოთხი გასვლითი შეხვედრა და ცენტრალური დივიზიონის მეორეადგილოსან „დეტროიტსაც" კი „გაუყადრა" თავი. გუშინწინ დილის პარკეტზე გუნდის თავმა, მუდამ მომღიმარმა და თბილმა აიზია ტომასმა ახლოს არ გაიკარა ჟურნალისტები, გამეცალეთ, თქვენს ხასიათზე არა ვარო. როგორ იქნებოდა ხასიათზე, როცა მისი შეგირდები აქეთ-იქით არიგებდნენ გამარჯვებებს. იმ საღამოს „ინდიანამ" შინ ბებერი მაიკლ ჯორდანის „ვაშინგტონთანაც" წააგო...

გარეშე „მტრების" მოძალებას შინაშლილობაც დაერთო. „ვაშინგტონთან" მარცხის შემდეგ ინდიანელები დამარცხებულები შეიძურწნენ გასახდელში. მათგან ერთ-ერთმა, სახელდობრ კი რონ არტესტმა ნერვები ვერ მოთოკა და კედელს ბოთლი მიანარცხა, რითაც ისედაც გაწიწმატებული ტომასი სულ გააცოფა. „მან მითხრა, რომ ბოსტონში გასვლაზე გუნდს არ წაჰყვებოდი. ეს დისკვალიფიკაცია მწვრთნელმა იმიტომ გამომიწერა, რომ გამოვხატე გრძნობები, რომლებიც იმ დროს ყველა ჩვენთაგანს ტანჯავდა. ეგ არაფერი, კარგიცაა, ცოტა დავისვენებ" — თავის გამხნევება სცადა არტესტმა.

დააჯარიმებს თუ არა კლუბი ნერვიულ მოთამაშეს ფულად ჯარიმას, ეს ჯერ უცნობია. აქვე გავიხსენოთ, რომ არტესტს პირველად არ მოსდის უთანხმოებები გარე სამყაროსთან. იანვარში ლიგამ ის 35 000 დოლარით დააჯარიმა და სამი თამაშით იძულებით დაასვენა ნიუ იორკში ტელეკამერის დამტვრევის გამო, ხოლო რამდენიმე კვირის შემდეგ „მაიამის" სახელგანთქმულ მწვრთნელ პატ რაილზე გაჭრის გამო ნბა-მ ის კიდევ ოთხი თამაშით მოკვეთა „ინდიანას".



რონ არტესტი ისევ შარშია





როჯერ ფედერერი

**THE DUBAI OPEN CHAMPIONSHIPS**

**ჰარდი. საპრიზო 1 მილიონი $**

### პირველი წრე

**როჯერ ფედერერი (1, შვეიცარია) — ირაკლი ლაბაძე (საქართველო) 6:3, 6:3; მარატ საფინი (2, რუსეთი) — ალექს ვასკე (გერმანია) 6:4, 6:2; რაინერ შიუტლერი (5, გერმანია) — ზელკო კრაიანი (ხორვატია) 6:4, 2:6, 6:3; სხენგ შალკენი (6, ჰოლანდია) — მიხაილ იუჟნი (რუსეთი) 7:5, 6:0; ევგენი კაფელნიკოვი (8, რუსეთი) — იონ ფან ლოტუმი (ჰოლანდია) 6:2, 4:6, 6:3; ატილა სავოლტი (უნგრეთი) — ტიმ ჰენმანი (ბრიტანეთი) 5:7, 7:6 (7:3), 6:4; მაქს მირნი (ბელარუსი) — ადრიან ვოინია (რუმინეთი) 6:4, 6:2; ივან ლიუბიჩიჩი (ხორვატია) — უეინ ბლეკი (ზიმბაბვე) 7:5, 6:3; ტომი რობრედო (ესპანეთი) — იონას ბიორკმანი (შვედეთი) 6:2, 6:3**

როჯერ ფედერერმა დუბაი შარშან ისე დატოვა, ტურნირის დირექტორ ჯეფ ჩეპმენისგან არც ავანსი რგებია და არც საპრიზო თანხა. გოროზმა ჩინოვნიკმა ჭაბუკ ალპელს მეორე წრეში გერმანელ რაინერ შიუტლერისთვის კოჭის გაგორება დასწამა და ამის გამო ის რამდენიმე ათასი დოლარი დაუკავა, რაიც მას ტურნირზე ჩასვლისა და საპირველწრეო მოგებისთვის ეკუთვნოდა.

ATP-ელმა მაჩვშებმა ეს საქმე გულდაგულ და კასეტ-კასეტ გამოიკვლიეს და დაასკვნეს, რომ ფარა ფედერერს უსამართლოდ აეხა.

დასკვნამ გაჭრა და შვეიცარიელმა მეჩოგნემ საპრიზოდ კუთვნილი 10 ათასი დოლარი ციმციმ მიიღო, ხოლო ავანსის თაობაზე ეუწყა, რომ აღარც მას დაუკავებდნენ, თუკი ტურნირს მომდევნო წელსაც ეწვეოდა.

ფედერერიც ეწვია და ცხელ გულზე მაინცდამაინც ირაკლი ლაბაძეს გადაეყარა. ქართველი მეჩოგნე არაბეთში შორეული მემფისიდან ჩაფრენილიყო და, მართალია, სახელიან მეტოქეს რისკიანად, აგრესიულად ეპაექრა, მაგრამ მის დასაოირგუნად საკმარისი ილაჯი ველარ მოიძია.

ფედერერმა, ვინაც დუბაიმდე ორი წარმატებული ტურნირი ჩაითამაშა — მარსელში კარიერის მეხუთე ტიტული ირგუნა, ხოლო როტერდამში ნახევარფინალამდე იომა — ლაბაძესთან ნამატჩევს განაცხადა, რომ დუბაიში ის არა ფულისთვის, არამედ შარშან შებღალული რეპუტაციის აღსადგენად ჩავიდა:

„შიუტლერთან ჩემი შეხვედრა გამოწვლილვით გაანალიზეს და ყველა დარწმუნდა, რომ იმ მატჩში მე ბოლომდე დავიხარჯე. უბრალოდ, ძალიან დაღლილი ვიყავი და ამის გამო მეტოქემ პირწმინდად მაჯობა".

„წლეულს იმიტომ ჩამოვედი, რომ ყველას, უწინარესად კი ჩემს პატიოსნებაში დაეჭვებულ ამ ბატონს დავუმტკიცო, რომ ისინი მაგრად სცდებოდნენ. ამას ჩემთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს, რადგანაც მე პროფესიონალი ვარ და ვცდილობ, ყოველთვის ბოლომდე, კაცურად დავიხარჯო, ისე, რომ ეგეთ ხალხს ჩემზე შარშანდელივით წალაზლანდარების საბაბი არ მივცე. ჰო, ფული აქ არაფერ შუაშია, მე აქ იმისთვის ვარ, რათა იმაზე უკეთ ვითამაშო, ვიდრე ეს შარშან გამომივიდა".

სხვაფრივ — ფედერერის დარად გაიმეორწრევეს იმ დღეს მოთამაშე სხვა განთესილებმაც. ბობოლა რუსებს, კაფელნიკოვსა და საფინს მხარი ვერ აუბა მიხაილ იუჟნიმ, ვინაც ჰოლანდიელ შალკენს შემოემარცხა. წინა უქმეებზე როტერდამში კარიერის პირველი ტიტულის მომხვეჭი ბელარუსი მაქს მირნი რუმინელ ვოინიას გასცდა. ხოლო ბრიტანელი ტიმ ჰენმანი, ნოემბერში მხარზე გადატანილი ოპერაციის შემდეგ თავის მეორე მატჩს რომ თამაშობდა, ამჯერადაც იძლია, თუმცა უნგრელ სავოლტს პირველი მოწოდებიდან მხოლოდ ორი საათისა და 43 წუთის თავზე დანებდა. 28 წლის ჰენმანი ნამატჩევს ცდილობდა, ამ მატჩიდან ძირითადად „პოზიტიური ასპექტები" გამოეყო და ამბობდა, რომ ასეთი შეხვედრის წაგება მაგრად კი ემწარება, მაგრამ მთავარი ის არის, რომ მხარი ოდნავადაც აღარ აწუხებს. აბა!

# ლაბაძე რადა ამ დაბოლმელ ფედერერს გადაეყარა...

**ABIERTO MEXICANO DE TENNIS TELEFONICA MOVISTAR**

**აკაპულკო. თიხა**

**საპრიზო 690 ათასი $**

### პირველი წრე

**კარლოს მოია (1, ესპანეთი) — ფლავიუ სარეტა (ბრაზილია) 6:0, 6:2; დავიდ ნალბანდიანი (2, არგენტინა) — ნიკოლას მასუ (ჩილე) 3:6, 6:1, 6:4; გასტონ გაუდიო (3, არგენტინა) — დავიდ სანჩესი (ესპანეთი) 1:6, 6:4, 6:4; ფერნანდო გონსალესი (4, ჩილე) — რუბენ რამირეს-იდალგო (ესპანეთი) 6:1, 3:6, 7:6 (8:6); ფელიძს მანტია (ესპანეთი) — ხუან იგნასიო ჩელა (5, არგენტინა) 7:6 (7:4), 7:6 (7:1); გუსტავო კუერტენი (6, ბრაზილია) — ნიკოლა კუტელო (საფრანგეთი) 6:7 (2:7), 7:6 (12:10), 6:2; მარსელო რიოსი (7, ჩილე) — ფრანკო სკილარი (არგენტინა) 2:6, 6:0, 6:4; ლუის ორნა (პერუ) — ნიკოლას ლაპენტი (8, ეკვადორი) 6:2, 6:1**

ჯიშად მეთიხნარეთა მთელმა ესპანურ-პორტუგალენოვანმა ამქარმა ნაბუენოსაირესევს აკაპულკოურ სექსწალკოტს მიაშურა.

არგენტინის სეფექალაქში წარმატებულმა კარლოს მოიამ, ვინაც — სხვათა შორის — აკაპულკოს შარშანდელი ჩემპიონიც გახლავთ, პირველ წრეში ბრაზილიელი სარეტა გამოიჭირა და კუდით ბურთი ასროლინა.

იმარჯვეს სხვა სახელიანებმაც — სამგზის მეროლანგაროსე გუსტავო კუერტენმა და მსოფლიოს ოდინდელმა მეპირველე მარსელო რიოსმაც. კუერტენმა სეზონი ოკლენდში გალაღებით დაიწყო და წინა კვირაში ბუენოსაირესულ ნახევარფინალში მოიას რომ არ გადაყროდა, ეგებ წლეულს მეორედაც ეხეირა. რიოსს კი მთავარ საამსეზონო მიღწევად ვინადელმარულ ფინალში გასვლა დაეკვეხება (სადაც ის — ეგებ გახსოვდეთ — ესპანელმა დავიდ სანჩესმა დაჩაგრა).

განთესილთაგან იმ დღეს მხოლოდ ყოფილმა ჩემპიონმა ხუან იგნასიო ჩელამ (5) და ეკვადორელმა ლაპენტიმ (8) წაიფორხილეს.

**COPENHAGEN OPEN**

**ჰარდი. საპრიზო 355 ათასი $**

### პირველი წრე

**მიხელ კრატოხვილი (შვეიცარია) — კენეტ კარლსენი (5, დანია) 6:7 (3:7), 6:3, 6:4; ანტონი დუპუი (საფრანგეთი) — მარტინ ვერკერკი (6, ჰოლანდია) 6:4, 6:4; ტომას ბერენდი (გერმანია) — მარიო ანჩიჩი (7, ხორვატია) 6:4, 6:7 (7:9), 7:6 (7:2); მაგნუს ლარსონი (შვედეთი) — ფრედერიკ ნილსენი (დანია) 6:1, 6:1; მარკ როსე (შვეიცარია) — მასიმო დელაკვა (იტალია) 7:6 (8:6), 7:6 (7:4)**

**STATE FARM WOMEN'S TENNIS CLASSIC**

**სკოტსდეილი. ჰარდი**

**საპრიზო 585 ათასი $**

ვაგლახ — სრულიად არიზონაში იმ დღეს ყანწისპირულად წვიმდა და სკოტსდეილურ მაგრასფარზე ისე მოიწუმპა, რომ ჩოგბურთის ბურთებზე მეტად იქ ამპუვნებულ გომბეშოებს ეხტომებოდათ. საქმე ისე გაჭირდა, რომ დაგეგმილი რვა მატჩიდან ორი დაწყებულის გასრულებაც ვერ მოხერხდა. სახელიანმა ქალებმა კი — რომელთაც მდედრიონის შველაზიერი, სერენა უილიამსი თამადობს — იმ დღეს საკონტაო სამოსის საჩოგნაოზე გადაცვლაც ვერ მოასწრეს.

# სერენა უილიამსს კაცები თან უნდა, თან არა



**განთქმულმა შვედმა** ქალმეგოლფე ანიკა სორენსტამმა ქალთა გოლფიდან სულაც საკაცეთში გადასვლა რომ გადაწყვიტოს, სერენა უილიამსს ეს მაგალითი ვერ შეაგულიანებს — ხვად მეჩოგნეებს ის არასოდეს გაეძავება.

„კაცებს სიამოვნებით გავეჯიბრებოდი — ამბობს სერენა და უმალ უარის ნიშნად თავს აქნევს — არა, არა, ეს გამორიცხულია. ეს იგივე იქნებოდა, ლაილა ალი ლენოქს ლუისთან რომ აჩხუბო. ყოველ შემთხვევაში, ჩოგბურთში ასეა, გოლფში კი ეგებ ყველაფერი სხვანაირადაც იყოს".

სხვანაირად იქნება თუ არა ეს გოლფში, ამას მილეთი რამდენიმე თვის შემდეგ გამოსცდის, როცა ანიკა კაცთა ერთ-ერთ ზეპურ ტურნირზე გაერევა.

21 წლის სერენა კი ჯერაც არ იყო დაბადებული, ლეგენდარულმა ბილი ჯინ კინგმა 1973 წლის 20 სექტემბერს ეგრეთ წოდებულ „სქესთა რკენაში" ბობი რიგზი რომ დაამარცხა. თუმცა სერენამ ის კი კარგად იცის, რომ რიგზი კაცთა მწვერვალოსან ელიტაში არასოდეს ყოფილა.

„ჰო, ლაილას არანაირი შანსი არა აქვს ლუისის წინააღმდეგ — ამბობს სერენა — მე კი არანაირი შანსი არა მაქვს ანდრე აგასის წინააღმდეგ. ჩვენ — კაცები და ქალები — ერთმანეთისგან განვსხვავდებით და ამას არაფერი ეშველება. ჩვენი შეხლა შეუძლებელია".

სხვაფრივ — სერენას უმთავრესი საამსეზონო მიზანი ყველა მატჩის მოგებაა.

„სიმართლე გითხრათ, თვითონაც არ მჯერა, წლეულს დაუმარცხებელი თუ გადავრჩები — ამბობს იგი — მაგრამ ბოლო ერთი წლის განმავლობაში მე ყველას დავუმტკიცე, რომ დასახული მიზნების შესრულება ჰალალად ხელმეწიფება. ჰოდა, ამის შემდეგ უკვე ისეთი თვითრწმენა მაქვს, თითქოს ჩემთვის შეუძლებელი აღარაფერია".

ქალთა უპირველეს ჩოგანს სერენა უკვე 34-ე კვირაა, აქნევს. შტეფი გრაფის რეკორდამდე მას — არც მეტი, არც ნაკლები — 344 კვირა აკლია. თუმცა უმცროსი შავდა, ვინაც ჩოგნაობის გარდა უკვე ამთავითვე დიზაინერობასა და მემოდელეობასაც ეჩალიჩება, ამ რეკორდის დამხობაზე ჯერ არც კი ოცნებობს.

„გრძელვადიან მიზნებს მე არ ვისახავ — დასძენს სერენა — ხანგრძლივი და უპრობლემო კარიერით ტკბობა მხოლოდ ერთეულთა ხვედრია. იმას ვგულისხმობ, რომ ძალიან ძნელია, მთელი ცხოვრება ისე ითამაშო, ან ტრავმამ არ შეგაწუხოს, ან რაიმე პირადულმა გაურკვევლობამ. ამიტომაც, ვცდილობ, ძალიანაც არ დავიხარჯო... ეგეც არ იყოს, ახლა კონკურენცია უფრო მძაფრია, უფრო მეტი კარგი მეჩოგნეა და წარმატების მოპოვებაც შეუდარებლად გართულდა...

არა, ასეთ რეკორდებზე მე არ ვფიქრობ — მე არ ვიცი, გავძლებ თუ არა კორტზე კიდევ 15 წელს საიმისოდ, რათა ისინი დავამხო".

**ლევან ძელაურაძე**





REUTERS

მაქს მოსლის და სერ ფრენკ უილიამსს სასამართლო მოარიგებს

# ფორმულის რევოლუცია შუმახერს ბორბლებზე ჰკიდია



REUTERS

FORMULA 1

ათიოდე დღელა დარჩა ფორმულა 1-ის 54-ე ჩემპიონატის დაწყებამდე. მერვე წელია, „სამეფო რბოლების" სეზონი ავსტრალიის დიდი პრიზის გათამაშებით იხსნება. გუნდები ამჟამად ევროპულ ტრასებზე (ხერესი, იმოლა, სილვერსტოუნი) ბოლო სამდღიან ტესტებს ატარებენ, ხვალ-ზეგ კი მწვანე კონტინენტის გზას დაადგებიან.

ეგაა, ზოგიერთი საჯინიბოს ხელმძღვანელობას ტრეკებზე ახალი ბოლიდების გამოცდის გარდა სხვა საკითხებიც აღელვებს, რისი მიზეზიც საერთაშორისო საავტომობილო ფედერაციის (FIA) მორიგი რევოლუციური აკრძალვები გახლავთ. FIA-ს უფროსობა საგონებელში ჩააგდო „ფერარისა" და მისი პრიმა პილოტის მიხაელ შუმახერის შარშანდელმა არნახულმა დომინირებამ, როცა ტრიუმფატორის ვინაობა ლამის შუა სეზონში გაირკვა და ჩემპიონატმაც ინტერესი დაკარგა. ჰოდა, ფედერაციის პრეზიდენტი მაქს მოსლი და მისმა ვიცემ ბერნი ეკლსტოუნი სასწრაფოდ დაფაცურდნენ და ბობოლა საჯინიბოების თარეში რომ დაოკდეს, ანუ გუნდების შანსები მეტნაკლებად გათანაბრდეს საარაკო ხარჯების შემცირებით, ტექნიკური სანქციები შემოიღეს, რომელთაგან უმთავრესია ტელემეტრიისა და დამხმარე ელექტრონული სისტემების აკრძალვა (მონაცემების გადაცემა ბოქსიდან მანქანებზე, გუნდსა და პილოტებს შორის რადიოკავშირი, დამვრისას დაბუქსავების საწინააღმდეგო სისტემა, ავტომატური სიჩქარეთა კოლოფი).

ამით კი ის გამოდის, რომ ფორმულამ ათი წლით უკან დაიხია და იმ პერიოდს დაუბრუნდა, როცა მძღოლის დამხმარე უნიკალურ ტექნოლოგიას პირველად დაედო ტაბუ. მართალია, ორი წლის წინ ლეგალიზაცია მოხდა, მაგრამ ახლა ისევ არქივს უნდა ჩაბარდეს.

FIA-ს ჩინოვნიკების ეს საპინგპონგო ტაქტიკა გასაგებია — უფულობით გაწამებულ საშუალო შეძლების გუნდებს როგორმე ბოლო სასუნთქი არხი არ გადაეკეტოთ და „პროსტისა" და „ეროუსის" მსგავსად ისინიც არ გამოაკლდნენ მოხეტიალე ცირკს. წამყვან საჯინიბოთა ბოსების აზრით კი, მოსლი-ეკლსტოუნის დიქტატორული პოლიტიკა ქვის ხანაში დაბრუნების ტოლფასია და ძალთა გათანაბრების ნაცვლად „სამეფო რბოლების" დეგრადაციას გამოიწვევს.

შედეგად, „უილიამსისა" და „მაკლარენის" მფლობელებმა, სერ ფრენკ უილიამსმა და რონ დენისმა ავტოფედერაციის პრეზიდენტს ღია წერილით მიმართეს: „თქვენი ინიციატივა ფორმულისთვის დამანგრეველია და ბევრად ამცირებს რბოლების უსაფრთხოებას. ამ ცვლილებების ცალმხრივად თავს მოხვევით FIA-მ დაარღვია გუნდებთან შეთანხმება. ჩვენ, ცხადია, ჩავებმებით წლევანდელ ჩემპიონატში, მაგრამ ჩივილს ვაპირებთ შვეიცარიის საარბიტრაჟო სასამართლოში."

მსგავს კონფლიქტებში ჭიპმოჭრილმა მოსლიმ, სხვათა შორის, პროფესიით იურისტმა, ამ მუქარაზე პასუხი არ დაახანა: „თქვენი არგუმენტები აბსურდულია, ფორმულა 1-ის პრესტიჟზე კი არა, საკუთარ კეთილდღეობაზე ფიქრობთ. არაფერი დაგიშავდებათ, თუ იმ მილიონდოლარიანი ტელემეტრიის ნაცვლად ბოქსებთან უბრალო სასიგნალო ნათურას აანთებთ. პილოტი მაშინვე მიხვდება, რომ ბოლიდში პრობლემებია და ურაციოდაც გაჩერდება. წესებში ცვლილებების შეტანამდე ფედერაციის იურისტებმა გაარკვიეს, რომ ეს პროცედურა შეთანხმების პირობებს არ ეწინააღმდეგება. ამიტომ FIA დარწმუნებულია თავის სიმართლეში და იმაშიც, რომ სასამართლო ჩვენს პოზიციას დაუჭერს მხარს."

„ფერარის" პრეზიდენტი ლუკა დი მონტეძემოლო ოპოზიციონერთა მხარეზეა, ხოლო რაც შეეხება მიხაელ შუმახერს, მას იმედი აქვს, რომ ახალი ტექნიკური რეგლამენტითაც უპირატესობა ექნება მეტოქეებზე და ცვლილებები არ შეუშლის ხელს მეექვსე ტიტულის მოპოვებაში.

ბოლოს ერთი „ცხელ-ცხელი" სამწესდებო ცვლილებაც: FIA-მ გუშინ 107-პროცენტიანი საკვალიფიკაციო წესი გააუქმა. დარწმუნებული ვართ, მოსლის გადაწყვეტილებას ამჯერად ნეგატიური რეაქცია არ მოჰყვება. შეგახსენებთ, რეგლამენტის ამ პუნქტის თანახმად, ის პილოტი, რომელიც პოულის მომგებთან შვიდ პროცენტზე უარეს დროს აჩვენებდა, რბოლაში არ დაიშვებოდა. ამის გამო შარშან სამი ეტაპი გამოტოვა მინარდელმა ალექს იონგმა.

ლიმიტის გაუქმება წლეულს საკვალიფიკაციო ფორმატის შეცვლამ გამოიწვია. ამიერიდან შაბათობით, რბოლის წინ მძღოლებს ოთხის ნაცვლად მხოლოდ ერთი ჩასათვლელი წრე აქვთ და, რა თქმა უნდა, წარუმატებლობისგან ფავორიტებიც არ არიან დაზღვეულები, განსაკუთრებით წვიმიან ამინდში.

**გია ახალაძე**

## NHL რეგულარული ჩემპიონატი

# სუპერმარიო სუპერმარტო დარჩა

25 თებერვალი

**ბოსტონი 5:5 დალასი 1:1 1:2 3:2 0:0**

**0:1 ლეჰტინენი (12), 1:1 ტორნტონი (20), 2:1 როლსტონი (32), 2:2 არნოტი (32), 2:3 ზუბოვი (37), 2:4 გერინი (41), 3:4 როლსტონი (44), 4:4 მიურეი (48), 4:5 კ. ლემიე (49), 5:5 გ. მიურეი (59)**

მერე იტყვიან, ფტორეკის გუნდებს ჯიგარი აკლიათო. ბოსტონის თავკაცმა თავისი საქმე კარგად იცის, გუნდის თამაშის აწყობა არ ეშლება, მაგრამ პლეი ოფში უიღბლობამ არცთუ სასურველი იარლიყი მიაკერა. აი, ამ თამაშში ჩემპიონატის ლიდერთან მიღწეულმა ფრემ კი გააცამტვერა ეს შეხედულება.

თამაშის 43-ე წუთი მიმდინარეობდა, როცა ბოსტონის პოლონელი მოჩხუბარი კრიშტოფ ოლივა მძიმე სიტუაციაში ჩავარდნილი გუნდის გადარჩენას საკუთარი ხერხებით შეეცადა (ამ მომენტში მისი გუნდი 2:4 აგებდა). ოლივამ, რომელიც ძირითადში იშვიათად ხვდება, გალაწყვიტა, მწვრთნელის გული მოენადირებინა, თუმც ოდნავ გადააჭარბა, ჯერ მაიკ მოდანოს ყვანჯით ცხვირიდან სისხლი ადინა, მერე თავისზე ერთი თავით დაბალ რობ დიმაიოს ეცა. პოლონელმა ჩხუბში კი იმარჯვა, მაგრამ გუნდი 4 წუთის განმავლობაში უმცირესობაში დატოვა. და აი, სწორედ ამ დროს გაქვითა მისმა ბოსტონმა ერთი შაიბა და შემდეგ მეორეც მიაყოლა. კლოდ ლემიეს პირველმა დალასურმა გოლმაც ვერაფერი დააკლო აღტკინებულ ბოსტონელთა შემართებას და საბოლოოდ მასპინძელთა ლიდერ ჯო ტორნტონის ბრწყინვალე პასის შემდეგ გლენ მიურეიმ საბოლოოდ გაათანაბრა. მიურიეს ოვერტაიმში გატანაც შეეძლო, მაგრამ... თუმცა ეს ხომ ის შემთხვევაა, როცა ფრე მოგებაზე ძვირად ფასობს.

**კოლორადო 4:2 ედმონტონი**
*2:1 2:1 0:0*

**1:0 ბლეიკი (6), 2:0 ტანგეი (14), 2:1 ჩაიმერა (14), 2:2 იორკი (25), 3:2 ტანგეი (31), 4:2 რაინპრეხტი (38)**

ეს რა კვირა გამოდგა. ორშაბათს დეტროიტს დაუბრუნდა ლიგის მშვენება სტივ აიზერმანი და აი, მეორეც — კოლორადოს შეუერთდა კაპიტანი ჯო საკიკი (სხვათა შორის, ისიც 19-ნომრიანი მაისურით თამაშობს). საკიკმა უკვე ქულაც მოუნაგრა თავისიანებს. კაპიტნის გამოჯანმრთელებით გამხნევებული დენვერელები ამ დღეს შეუჩერებლები იყვნენ. პეტერ ფორსბერგის (3 პასი) სამეულმა ისევ იფრინა. შვედის ერთ-ერთმა პასმა მის გვერდით მუდმივად მოთამაშე ალექს ტანგეიც კი გააოცა — „დაუჯერებელია. ისეთი პაუზა გააკეთა, რომ მეკარემაც ყურადღება მოადუნა და მცველიც დაიბნა."

**პიტსბურგი 3:5 ლოს ანჯელესი**
*2:1 0:2 1:2*

**1:0 სტრაკა (6), 2:0 შ. ლემიე (16), 2:1 მოდრი (18), 2:2 პალფი (33), 2:3 პალფი (37), 2:4 სმოლინსკი (44), 3:4 მ. ლემიე (51), 3:5 სმოლინსკი (51)**

ობლად დარჩენილი მარიო ლემიეს მორიგი 3 (2+1) ქულაც კი ვერ ეყო წყალწაღებულ პიტსბურგს. სტუმარია მეკარემ, ფრანგმა კრისტობალ იუემ სწორედ მარიოს გუნდთან ჭიდილში მოიპოვა პირველი ნჰლ-ური გამარჯვება.

**ვანკუვერი 8:0 ატლანტა** *3:0 3:0 2:0*

**1:0 მორისონი (5), 2:0 ლინდენი (9), 3:0 ბერტუცი (10), 4:0 მორისონი (36), 5:0 ლინდენი (37), 6:0 ნესლუნდი (39), 7:0 ბერტუცი (56), 8:0 ჰ. სედინი (57)**

პიტსბურგის ეულად მთრევეელ ლემიეს ნამატჩევს კიდევ ერთი არასასიამოვნო სიახლე ელოდა. კანადაში ჩასულ ატლანტას ვანკუვერი ძვირად დაუხვდა. სტუმრები ყველაზე მეტად „კენაკსის" კაპიტანმა მარკუს ნესლუნდმა აიკლო. გოლს შვედმა 5(!) პასი დაამატა და 83 ქულით ბომბარდირთა დავაში ლემიეს გაუტოლდა.

**ოტავა 0:3 მინესოტა** *0:1 0:0 0:2*

**0:1 პარკი (13), 0:2 სეკერაში (46), 0:3 გაბორიკი (49)**

**ტამპა 2:0 ანაჰაიმი** *1:0 1:0 0:0*

**1:0 ანდრეიჩუკი (11, 2:0 ალექსეევი (40)**

609-ე სალიგო გოლმა ტამპელი დეივ ანდრეიჩუკი მეგოლეთა სიის მე-12 ადგილზე აიყვანა. ახლა მას უახლესი მეზობლისგან, ლეგენდარული ბობი ჰალისგან ერთი შაიბაღა აშორებს.

**ნიუ ჯერსი 3:3 რეინჯერსი**
*0:1 2:0 1:2 0:0*

**0:1 პოტი (8), 1:1 ჯიონტა (27), 2:1 ლანგენბრუნერი (38), 2:2 ლიჩი (43), 3:2 ლანგენბრუნერი (47), 3:3 ნედვედი (56)**

**ტორონტო 5:2 აილენდერსი**
*0:0 3:1 2:1*

**0:1 ლაპოინტი (31), 1:1 სუნდინი (36), 2:1 რაიხელი (38), 3:1 სუნდინი (40), 4:1 გრინი (50), 4:2 ბეიტსი (53), 5:2 დომი (53)**

მეორე პერიოდის დასაწყისში მათს სუნდინმა ბულიტის შესრულებისას ბავშვური შეცდომა დაუშვა — შაიბა ვერ დაიმორჩილა, თუმც ტორონტოს კაპიტანმა დანაშაული ორი შაიბით სავსებით გამოისყიდა

**ნეშვილი 5:0 კოლუმბუსი** *1:0 2:0 2:0*

**1:0 პალსი (5), 2:0 ბოლი (26), 3:0 ორზაგი (33), 4:0 ტიმონენი (57), 5:0 უოლში (59)**

**ჩიკაგო 0:2 ფილადელფია** *0:1 0:1 0:0*

**0:1 იუნსონი (12), 0:2 მ. მიურეი (35)**



REUTERS

აილენდერსელი მაიკ პეკა ტორონტოელ რობერტ შვეჰლას გადაეშხო

# რუისი ელის

ამ შაბათს ლას ვეგასში დიდი ჩხუბია: მძიმე წონის პირველმა პუერტორიკოელმა ჩემპიონმა ჯონ რუისმა (სურათზე) თავისი ასოციაციის (ვბა) ქამარი უნდა დაიცვას პრეტენდენტის ხელყოფისაგან. პრეტენდენტი კი სხვა არავინაა, თუ არა ლამის ყველა წონის ჩემპიონი, დიადი როი ჯონსი, რომელმაც ოცნება აიხდინა და თუმცა მთლად მძიმე ვერაა, მაგრამ მძიმე წონის ქამრისთვის კი იბრძოლებს.



REUTERS ლას ვეგასიდან




REUTERS მადრასიდან

# კრიკეტის ღმერთები



REUTERS მადრასიდან

56 წლის მადრასელი რამა კრიშნანი კრიკეტის დიდი ქომაგია და მთელს მსოფლიოში ერთადერთი კაცია, ინდოთა ღმერთებს რომ კრიკეტის თასებით ხელში ხედავს და კრიკეტის სათამაშო ტაფელებით ხელში აქანდაკებს იმავე ღმერთებს. ახლა სამხრეთ აფრიკაში კრიკეტის მსოფლიო თასია გახურებული და კრიშნანიც თავის ხელქმნილ ტაძარში ლოცულობს გამარჯვებისთვის.

# წავარჯიშება

კინოვარსკვლავი სივურნი უივერი ფლორიდაშია და თავისი ახალი ფილმის „ბიჭების“ სარეკლამო კამპანიაშია ჩაბმული. ქალაქ სენტ ლუისში გადაყრია იქ მოვარჯიშე „ნიუ იორკ მეტსის“ პიჩერს, ჯონ ფრანკოს და მცირე საბეისბოლო ლაღობაც გაუმართავს.



REUTERS სენტ ლუისიდან



REUTERS როკფორდიდან

# საბრალონი

ილინოისის ქალაქ როკფორდში შეხვედრია ერთმანეთს ორი კრივისგან საპყარი კაცი, ორი ცნობილი მოკრივე. ჯერალდ მაკლელანმა (მარცხნივ) 1995 წელს, ნაიჯელ ბენთან ბრძოლისას მიიღო ტვინის მძიმე ტრავმა და დაბრმავდა, გრეგ პეიჯი კი ასევე ტვინის ტრავმით დამბლადაცემული გამოეთხოვა რინგს დარელ კროუსთან ბრძოლის შემდეგ. ორივენი ჩემპიონები ყოფილან, ახლა კი კეთილ ხალხს გადაუწყვეტია, მათთვის შემწეობის ფონდი დააარსოს.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის
28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ პოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ ძიბარიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გოჩა ახვლედიანი, ლევან ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი პირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე
კორესპონდენტი გერმანიაში ვანო ოქროპირიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ზაური კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, რუსუდან დარსაველიძე, სვეტა დევაძე, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, დავით კვაჭანტირაძე, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge